# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 26 იანვარი, 2011 წელი.

№15 (6626)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


3 ритორიკული კითხვები

## აფხაზეთს უკვე აღარ ვთვლით საქართველოდ?!



ნომრის კარიკატურა



როცა პრეზიდენტი მომავალზე გველაპარაკება...

## ნუ ჩავიდენთ საშვილიშვილო დანაშაულს! 2



იგორ გიორგაძე:

## შრუსმეთოდ ვერაფერს გავხდებით



4

## ვინ იმალება ტერაქტის უკან? 2

# სახელმწიფო სახელმწიფოში, ანუ სუპერ-პრივილეგირებული კლასი



3

6 მკაცრი რეალობა

## ეროვნული ბანკის დილემა, რომელზეც ექსპერტები დამაიმედებელ პროგნოზებს ვერ აკეთებენ





## ვისაუბროთ რუსულად თუ ინგლისურად?

8

ანუ რუსეთთან ბრძოლა ამჯერად სიტყვიერად გრძელდება დაქირავებული მასწავლებლების წყალობით



7

აქა ამბავი ამერიკას თავშეფარებული ქართველი ქალისა, მისსავე წიგნად ქცეული „სათავგადასავლო“ მემუარებად მოთხრობილი

## ინფორმაცია

### ბურები ფერმების აშენებას იწყებენ

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ავალიანი აცხადებს, რომ ბურები საქართველოში ინვესტიციას ჩადებენ.



— საქართველოში რამდენიმე ფერმა გაკეთდება. ესაა ინვესტიცია, ესაა ბიზნესი, რადგან საუბარია საკმაოდ მსხვილ ფერმერულ მეურნეობებზე. ბურები შეისწავლიან მიწის ხარისხს, თუ რომელ ტერიტორიაზე რა პროდუქციის მოყვანაა მომგებიანი. ამასთან, ბურები სწავლობენ აქაურ ბაზარს, საექსპორტო პოტენციალს, — განაცხადა ნიკოლოზ ავალიანმა.

მისი თქმით, ბურებისთვის აქ გაცილებით მომგებიანი პირობებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტისთვის.

### იტალიელი პედაგოგებიც გვეწვივნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და იტალიის ელჩმა საქართველოში ვიტორიო სანდალმა იტალიურ სკოლა „ცისკარის" მოსწავლეებსა და პედაგოგებს იტალიური ენის პედაგოგი მაიკლ ბიასილი წარუდგინეს.

მაიკლ ბიასილი საგანმანათლებლო პროგრამა - „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად„ ფარგლებში, იტალიის საელჩოს დახმარებით ჩამოვიდა და ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, სკოლის მოსწავლეებს იტალიურ ენას შეასწავლის.

იტალიის საელჩო საქართველოში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა სამინისტროს ინიციატივას და ხელი შეუწყო იტალიელ პედაგოგებს ჩართულიყვნენ პროექტში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად".

### მერია არჩევს ავტობუსის კონტროლიორებს

თბილისის მერიის დასაქმების პროგრამის ფარგლებში, ამჟამად ვაკანსია სატრანსპორტო კომპანიამ გამოაცხადა. ავტობუსის კონტროლიორის პოზიციაზე ნებისმიერ მსურველს 31 იანვრამდე განაცხადის შეტანა შეეძლება.

დასაქმების ბაზაში დარეგისტრირებულ თბილისელებს თბილისის მერია კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის დაწყებაში ეხმარება.

მერიის წარმომადგენელთა განმარტებით, ოთხი თვის წინ შექმნილ დასაქმების ბაზაში დარეგისტრირება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ამ პროექტით, უკვე 200-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ტერორიზმი



# ვინ იმალება ტერაქტის უკან?

**24 იანვარს მოსკოვის აეროპორტ დომოდედოვოში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა, სწორედ ამ დროს ვიდეოთვალის ერთ-ერთმა კამერამ დააფიქსირა ეს მომენტი. უკანასკნელი მონაცემებით ადგილზე დაიღუპა 35 კაცი, 180 დაშავდა, ამჟამად მძიმე მდგომარეობაში მოსკოვის სხვადასხვა კლინიკებში 108 მოქალაქეა მოთავსებული.**

დომოდედოვოს აეროპორტის პრესსამსახურის განცხადებით ტერაქტის გამო ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობას თავის თავზე არ იღებს, რადგან საავიაციო წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები სრულად იყო დაკმაყოფილებული. ეს განცხადება პრესმდივანმა ელენა გალანოვამ მას შემდეგ გააკეთა, როდესაც მომხდართან დაკავშირებით პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა — პასუხი ტერაქტის გამო აეროპორტის მენეჯმენტმა და ხელმძღვანელობამ უნდა აგონო. მიზეზად კი აეროპორტის ტერიტორიაზე შეტანილი დიდძალი ასაფეთქებელი ნივთიერება დაასახელა, რომელიც იქ შემოწმების ზომების დაცვის დარღვევებით იყო შეტანილი.

პრეზიდენტმა მედვედევმა შვეიცარიაში დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ვიზიტი გადადო. პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა ნატალია ტიმაკოვამ განაცხადა, რომ „ვიზიტი მხოლოდ გადაიდო და არ გაუქმებულა. ბატონი პრეზიდენტი შვეიცარიელ კოლეგასთან შეხვედრასაც გადადებს. ამას შვეიცარიის მხარე გაგებით მოეკიდა".

დომოდედოვოს აეროპორტში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტს ერთ-ერთმა პირველმა ოს სეპარატისტთა ლიდერმა კოკოითიმ მიუსამძიმრა. „შეუძლებელია რაიმეთი გაამართლო მშვიდობიანი და უდანაშაულო ადამიანების მკვლელობა. ვგმობთ ტერორიზმს მისი ყველა გამოვლინებით და ვადანაშაულებთ ყველა მათგანს, ვინც ამ საზარელი დანაშაულის უკან დგას. ოსეთი ყოველთვის იქნება რუს ხალხთან ერთად" — ნათქვამია სამძიმრის წერილში.



ავთანდილ ბექაური

## საიდუმლოს გაცემა

# ბიზნესინფორმაციები არა მხოლოდ ხელისუფლებიდან ჟონავს

ბიზნესმენებისაგან კერძო საუბრებში ხშირად გაიგონებთ, რომ მათთვის დაუდგენელი მიზეზების გამო, ხშირად კონკურენტებმა პროდუქციის შემოტანის დრო, მისი რაოდენობა და დასახელება ადრევე იციან და კონტრნაბიჯებს დგამენ, რის გამოც პატიოსანი შემომტანები სერიოზულად ზარალდებიან. ზოგიერთი ექსპერტ-ეკონომისტი ყოველივეს იმით ხსნის, რომ საბაჟო სტრუქტურებში მოკალათებული ჩინოვნიკები ფლობდნენ ცნობებს ქვეყანაში მოსალოდნელი და შემომავალი ტვირთის შესახებ და თავიანთ თანამოსაქმეებს ინფორმაციებს აწვდიან. რასაკვირველია გარკვეული ანაზღაურებით. მაგრამ არა მხოლოდ ეს ყოფილა კომერციული ინფორმაციის გაჟონვის ერთადერთი წყარო, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა.



თამარ ქუშაშვილი საშემოსავლო სამსახურის საფოსტო გზავნილების თბილისის რეგიონული ცენტრის ოფიცერი იყო. იგი, თანამდებობიდან გამომდინარე, ფლობდა ინფორმაციებს საქართველოში იმპორტირებული საქონლის შესახებ, რომელიც დახურული და კონფიდენციალურია. მისი და ნინო ქუშაშვილი კი საბროკერო ფირმა შპს „ექსპრეს თაიმის" თანამშრომელი გახლდათ.

დები შეთანხმებულად მუშაობდნენ. ნინო ქუშაშვილი თავის დას აწვდიდა ინფორმაციებს საქართველოში შემომავალი იმპორტული ტვირთის შესახებ. ნინოს კი ცნობები საბროკერო ფირმაში მიჰქონდა.

ყოველივეს შედეგი კი ის იყო, რომ იმპორტიორები დაზარალებული რჩებოდნენ.

კომერციული საიდუმლოებების გაცემისა და გამოყენებისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დები დააკავა. მათ სხვადასხვა ვადით პატიმრობა ელით.

ზაზა ბილიხოძე

## სიტყვა ერის გასაგონად

# ნუ ჩავიდენთ საშვილიშვილო დანაშაულს!

**„ქართული აკადემიის" პუბლიკაცია „ტკბილ-მწარე საახალწლო ფიქრები", რომელიც პრესაში („რეზონანსი", „საქართველოს რესპუბლიკა", „ახალი თაობა") გამოქვეყნდა, სამედიცინო ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ჩვენი ქვეყნის უცდომელი კარდიოგრამა და მისი ავტორებისა და ზოგადად „ქართული აკადემიის" მიერ შემოკრული განგაშის ზარია. იგი, ჩემი აზრით, უნდა წაიკითხოს და გაითავისოს ყველა ქართველმა.**

დღეს ქართველი ხალხის საშიში მტრები მხოლოდ ქვეყნის გარეთ კი არ უნდა ვეძებოთ, იგი საქართველოშიცაა, ჩვენს გვერდით ნებივრობს და, ცრუპატრიოტული ლოზუნგებით აღჭურვილი, უზარმაზარ გასამრჯელოს იღებს, რათა ხალხი და ქვეყანა ააცდინოს პროგრესისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მაგისტრალურ გზას. რიგი პარტიებისა თუ ვაიპოლიტიკოსების წყალობით ეს აპოკალიფსური რეჟიმი რამდენჯერმე გადაურჩა ხალხის რისხვას. ამაზე ძალიან ბევრი ითქვა და ამ თემას აქ აღარ გავშლი.

მე, ერთი რიგითი აჭარელი ქართველი კაცი, ჩემი მხარის ტრაგიკული წარსულის გათვალისწინებით, მინდა ვესაუბრო ჩვენს ხალხს იმ რეალური საფრთხის შესახებ, რომლის პირისპირ დგას დღევანდელი აჭარა კერძოდ და ზოგადად — სრულიად საქართველო. ამ საკითხებზე „ლიტერატურული საქართველოსა" და „საქართველოს რესპუბლიკის" საშუალებით არაერთხელ დამირეკავს განგაშის ზარი, მაგრამ ამას ჩვენი ქვეყნის ეროვნული და ინტელექტუალური ძალებიდან ძალიან ცოტა თუ გამოხმაურებია. ეს ის თემები და პრობლემებია, რომელთა მიმართ წაყრუება ღალატის ტოლფასია.



ჩვენ ახლა კრიტიკის ქარცეცხლში ვატარებთ უახლოეს კომუნისტურ წარსულს. არა მგონია, დღეს წერა-კითხვის მცოდნე ქართველს არ ახსოვდეს საბჭოთა „კგბ"-ს თვალთვალი და გაუწონასწორებელი, თითიდან გამოწოვილი ბრალდებები აჭარლების მიმართ. არაერთი შეუგნებელი ქართველი დღესაც „თათარს" გვეძახის. ავიწყდებათ, რომ სამასწლოვანმა თურქულმა ექსპანსიამ ჩვენს ხერხემალზე გადაიარა, მაგრამ ვერ გაგვტეხა. მე, აჭარული წარმოშობის ქართველი პოეტი შოთა ზოიძე, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ვიცავ ერის მამის, ილია ჭავჭავაძის ძეგლს დემონტაჟისგან, რის შესახებაც ბრძანება დედაქალაქიდან, ქვეყნის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებისაგან მოდის და, ამ დროს, იმავე დედაქალაქიდან მავანი „თათარს" მეძახის. ვინ იყვნენ ის ქართველები, 1991-1992 წლებში თბილისი-ბათუმის მატარებლის ვაგონებს ზეთის საღებავით რომ აწერდნენ — „თბილისი-თურქეთი"? ახლა გეკითხებით: მე, შოთა ზოიძე, ვარ თათარი, რომელიც საგალობლებს ვუძღვნი ქართულ ტაძრებსა და სალოცავებს, თუ ის, ვინც ფერიის მთაზე მშვენებარე ეკლესიის დანგრევის განკარგულებას იძლევა?! თუ ის, ვინც გეგმავს ბათუმის ბულვარში წმინდა ბარბარეს ეკლესიის აღგვას პირისაგან მიწისა და გრანდიოზული მეჩეთის მშენებლობას? თუ ის, ვინც ქართული ენა კედელთან მიაყენა? მერწმუნეთ, „ოსმალეთის საქართველოში" (ასე ეძახდა ილია ჭავჭავაძე თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებსძ არსებული დანგრეული ტაძრების სამუზეუმო აღდგენა საშური საქმეა, მაგრამ რის ფასად?! ოშკის, ბანასა თუ ხახულის ახლანდელი სურათი არ უნდა წაიშალოს! ისინი ჩვენი ისტორიის ცოცხალი ძეგლებია და მთელმა მსოფლიომ უნდა უყუროს მათ, როგორც ჩვენი წინაპრების ხელთუქმნელ შემოქმედებას. მათ ახლა საერთაშორისო კანონმდებლობა იცავს და საქართველოს ხელისუფლებას, თუ მას მართლაც აინტერესებს ჩვენი წარსული და ეროვნული კულტურის ისტორია, სწორედ საერთაშორისო მექანიზმები უნდა აამოქმედოს მათს დასაცავად.

იხ. 4 გვ.

პოლიცია

# სახელმწიფო სახელმწიფოში, ანუ სუპერ-პრივილეგირებული კლასი

**რას უნდა განიცდიდეს საქართველოს მოქალაქე, როდესაც ტელეეკრანებზე პოლიციის შესახებ გაკეთებულ ტელეკლიპებს უყურებს, ან უშუალოდ ეკონტაქტება პოლიციელებს? შიშს, მოწიწებას, შურს, პატივისცემას თუ ყველაფერს ერთად? სოციოლოგიური გამოკითხვებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განახლებულ პოლიციას ენდობა საზოგადოების 80-82%. ალბათ დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ასეთი მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ახლის მარტივი შედარება ძველთან.**

ამ მხრივ კი განსხვავება უკეთესობისკენ მართლაც თვალშისაცემია როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ახალი საპატრულო პოლიცია გაცილებით უკეთ გამოიყურება, მოქალაქეებთან ურთიერთობის ახლებური მეთოდი აქვს, მძღოლებს ფულს აღარ სძალავს და სისტემაში უწყებრივი კორუფციაც შემცირდა. თუმცა, საპატრულო პოლიცია რატომღაც დღემდე ვერ ახერხებს გზებზე საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მოწესრიგებას. დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაცემებით, საქართველოში ყოველ კვირა 50-ზე მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება, რომელშიც 11 ადამიანი მაინც იღუპება (?!). ეს კი პოლიციის მუშაობის შეიძლება ითქვას ყველაზე დიდი ნაკლია. წარმოვიდგინოთ თუ რამდენ ადამიანს მოისაკლისებს ქვეყანა ყოველ წელიწადს, თუკი ასეთი საგანგაშო ტენდენცია და სტატისტიკა შენარჩუნდა?!. ბუნებრივია, პოლიციის მუშაობის ამ სერიოზულ ხარვეზზე დუმს ხელისუფლებაც, შინაგან საქმეთა სამინისტროც და სახელისუფლებო მედიაც. პოლიციის ძალისხმევა კი სულ სხვა მიმართულებებზეა გადატანილი. პოლიციის იმიჯის ხელოვნურ გაკეთილშობილებაზე და პოლიციელთა ფინანსურ მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის გარდა, ხელისუფლება ზრუნავს იმაზეც, რომ პოლიციამ შეაღწიოს ყველგან, სადაც კი შეღწევა შეიძლება. მარტო 2010 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (პოლიციას თბილისის ჩათვლით, 10 სამხარეო სამმართველო აქვს) პოლიციის 60 (?!) ახალი შენობა გახსნა. რით არის გამოწვეული ქვეყნის ასეთი მასობრივი დაფარვა პოლიციური სტრუქტურებით, მაშინ როდესაც შსს-ვე მტკიცებით ქვეყანაში დანაშაული კლებულობს?!. ყოველი ახალი შენობა, მისი აღჭურვა-შენახვა და იქ მომუშავე შტატი (დაახლოებით 30-40 კაცი) დამატებით ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. შსს ხელმძღვანელობა ამის მიზანშეწონილობას მარტივად — მოსახლეობისათვის პოლიციური სერვისის გაუმჯობესების საჭიროებით ხსნის. „მთავარი პრინციპი ისაა, რომ პოლიცია არის არა ძალისმიერი სტრუქტურა, არამედ სერვისი, რომელიც ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს“, — აღნიშნავს მინისტრი მერაბიშვილი უკრაინელ ჟურნალისტებთან საუბრისას.თუმცა რას მოიცავს სინამდვილეში ეს სერვისი, ოფიციალური ნუსხის გარდა, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფოში მის განსაკუთრებულ სტატუსს ხაზს უსვამს, უწყებრივი ვებგვერდის (www.police.ge) დასახელებითაც, რომელიც განსხვავდება ყველა სხვა სამინისტროების ვებგვერდებისგან, რომელთა დომენს ერთნაირი დაბოლოება აქვთ ...gov.ge. შსს-გან განსხვავებით, არც ერთ სხვა სამინისტროს არ აქვს საკუთარი უწყების ასეთი ფორმითა და შინაარსით რეკლამირების პრივილეგია. უფრო მეტიც, შსს-ს ბიუჯეტი და რომელიც არასდროს შეკვეცილა, აბსოლუტურად მოცილებულია როგორც საზოგადოებრივ, ისე საპარლამენტო კონტროლს. არავის ახსოვს ბოლოს როდის შევიდა, თუკი საერთოდ შევიდა, შსს-ში კონტროლის პალატა საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზანშეწონილობის შესამოწმებლად.

ბუნებრივია, არავინ იდავებს იმაზე, რომ შემდგარ, ჩამოყალიბებულ და სამართლებრივ სახელმწიფოში პოლიციას საზოგადოებისგან სათანადო დაფასება და პატივისცემა უნდა ჰქონდეს და იგი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იყოს აღჭურვილი, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად. მეორე საკითხია, ამ კეთილშობილი და საჭირო ფუნქციის საფარქვეშ არ მოხდეს პოლიციისა და უშიშროების გადაქცევა „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“ და პოლიტიკური კონტროლისა და დევნის ინსტრუმენტად.

მონაცემები განახლებული პოლიციის ფსიქოლოგიურ-სოციალურ პორტრეტზე, თუკი ასეთი არსებობს, ფართო საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია. ერთ-ერთ ინტერვიუში მერაბიშვილმა ისიც კი განაცხადა, რომ ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი პოლიციაში სამსახურისკენ ისწრაფვის, თუმცა არ დაუკონკრეტებია ვის გულისხმობდა მათში. საერთოდ უცნობია რა კატეგორიის მოქალაქეებსა და რა კრიტერიუმებით იღებენ პოლიციის სტრუქტურებში სამუშაოდ. მერაბიშვილი და შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილი ჟურნალ „კომერსანტთან“ ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ საპატრულო პოლიციაში 35 წლამდე მოქალაქეები მიდიან. თუმცა უტიაშვილის თქმით, „ბევრი იქიდან ორი წლის შემდეგ მიდის, რადგანაც ეს მათთვის მხოლოდ სასტარტო მოედანია..... მთავარია, რომ ისინი ცხოვრებაში უკვე სხვანაირები მიდიან!?“ ამ განცხადებას კი ნამდვილად შეიძლება ვენდოთ.

ბოლო დროს პოლიციის განსაკუთრებული და პრივილეგირებული სტატუსი სერიოზულად განმტკიცდა არა მხოლოდ იდეურ და ცნობიერ, არამედ საკანონმდებლო დონეზეც.

2009 წლის საპროტესტო აქციებით შეწუხებულმა ხელისუფლებამ სიტუაციიდან ერთ-ერთ გამოსავლად, მმართველი პარტიის ყველაზე საიმედო საყრდენის — პოლიციის უფლებების გაზრდა მიიჩნია. სამოქალაქო სექტორისა და საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტის მიუხედავად, სასწრაფო წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით პოლიციას უფლება მიეცა უშიშროების დაცვის, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებთან ბრძოლის მიზნით გამოიყენოს საკმაოდ შთამბეჭდავი არსენალი: მათ შორის არის სპეციალური საშუალებები: „არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი), აკუსტიკური საშუალება,

იხ. 5 გვ.

რიტორიკული კითხვები

# აფხაზეთს უკვე აღარ ვთვლით საქართველოდ?!

**საქართველოს შავი ზღვისპირეთის მთავარი მარგალიტი! — ასეა მოხსენიებული ანაკლია სარეკლამო განცხადებაში, უკვე კარგა ხანია, დღეში რამდენჯერმე რომ გადაიცემა სხვადასხვა ტელეარხით.**

თუმცა, მოხსენიებულია კი არა, სწორედ ამ სიტყვებით იწყება საქართველოს მთავრობის ეს განცხადება, რომელიც ინვესტორებს მოუწოდებს, მიიღონ მონაწილეობა ანაკლია-ზუგდიდის თავისუფალი ტურისტული ზონის მშენებლობაში, **„გამდიდრდნენ თვითონ, დაასაქმონ ხალხი და გაალამაზონ საქართველო“...**

კი, ბატონო, ვიცი, რეკლამა იმისია, რომ პოტენციურ მყიდველსა თუ კონკრეტულ დამფინანსებელს მოაწონო რაიმე პროდუქტი, დააინტერესო რომელიმე პროექტით და საამისოდ მარტო ეპითეტები ან აღმატებითი ხასიათის შედარებები კი არა, ზოგჯერ ჰიპერბოლაც გამოიყენო, მაგრამ...

ანაკლიის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მართლაც ლამაზია იქაურობა, იქ ასაშენებელი შენობა-ნაგებობებიც, რომელთა მაკეტებს ტელევიზიით გვაჩვენებენ, მას უთუოდ უფრო მიმზიდველს გახდიან, მაგრამ ნებისმიერი ზღვისპირეთის სიავკარგე ხომ, უწინარესად, სწორედ ზღვის წყლით, პლაჟითა თუ ჰავით განისაზღვრება და არა, თუნდაც იქ მოქმედი თუ მშენებარე კაზინოებით?

**...ა, ბარჟომ? — სპერვა პადუმაი ა პატომ გავარი!**



გეხსომებათ, ალბათ, „მიმინოდან“ რუბიკ ხაჩიკიანის ტრაბახით გაბრაზებული ვალიკოს ეს რეპლიკა.

ჰოდა, სწორედ ამის ანალოგიით მინდა ვიკითხო: **ა, გაგრა, პიცუნდა?!**

**ანუ თუ აშენებულ-მშენებარე სასტუმრო-კაზინოებით დამშვენებულ-დასამშვენებელი ანაკლია საქართველოს შავი ზღვისპირეთის მთავარი მარგალიტია, მაშინ გაგრა და ბიჭვინთა რაღა არის?**

**თუ ოკუპირებულ აფხაზეთს უკვე აღარ ვთვლით საქართველოდ?!**

# კეისრისთვის ხომ არ მიგვებაძა, ხალხო?

**კეისრის ცოლს ხმა გაუვარდა თუ დაუყარეს — ქმარს ღალატობსო.**

**მბრძანებელი მაშინვე გაეყარა მეუღლეს — კეისრის ცოლი ეჭვზე მაღლა უნდა იდგესო!..**

ქვეყანა შეაზანზარაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს საზოგადოებაში ინტერეს-შეხედულებათა დიდი ჯახი და დაპირისპირება გამოიწვია ცნობა-მხილებამ — 2008 წლის რიგგარეშე პრეზიდენტის არჩევნებში ფაქტობრივად გამარჯვებულმა ოპოზიციის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ მიხეილ სააკაშვილისგან ორი მილიონი დოლარი მიიღო, რის სანაცვლოდაც იპოდრომზე შეკრებილი 300 ათასი მომიტინგე რუსთაველისკენ არ დაძრა, სახლში გაუშვა და ამით სააკაშვილს პრეზიდენტობა გაუფორმაო.

არის დიდი კამათი და ვნებათაღელვა — მართლა აიღო თუ არა ფული გრეჩიხამო.

**იმის თაობაზე კი, ნამდვილად მისცა თუ არა სააკაშვილმა ქრთამი გრეჩიხას, არც ხელისუფლება ძრავს კრინტს და არც ოპოზიცია.**

არადა, მე თუ ვინმე მკითხავს, ამის გაკეთებას უფრო ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, **რათა ეჭვები გაფანტოს და ხალხის თვალში ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ყველაფერზე წამსვლელის, მომქრთამავ-მომსყიდველის ლაქა ჩამოირეცხოს.**

მაგრამ მოგცლიათ ერთი!

ძაან ადარდებთ ერთბაშად სააკაშვილსაც და მის ხელისუფლებასაც, რას იტყვის ხალხი!

— ისემც უქნიათ, თავში ქვა და მუცელში — სამართებელიო! — ფიქრობენ უთუოდ და, გახარებულნი ისე არიან გაყურსულები, მუცელზე ფეხანისგან ლამის ექსტაზში ჩავარდნილი ღორი რომ აპლაკავს ფეხებს და ნეტარებისგან ღრუტუნებს: **მათ ხომ თავისას მიაღწიეს — ოპოზიციაში განხეთქილება ჩამოაგდეს, ხალხში კი — ოპოზიციისადმი უნდობლობა და ეჭვი!**



რაო? **პატივი, ღირსება, უმწიკვლობა თუ მისთანანიო?!**

კარგით, რა! **კჩორტუ კაპრატივ, ჯაყო არ გინდა კაპრატივი!**

რა ატამიო, რი ატამიო, **რა ქრთამის მიმცემისაც და ამღებისაც ერთნაირი პასუხისმგებლობაო!**

**მიზანი** (დიადი, ნათელი — ხელისუფლებაში სულ მცირე კიდევ 20-30 წლით ყოფნა) **ამართლებს საშუალებასო!**

ამიტომაც არის, რომ თუნდაც პრეზიდენტის პრესსამსახურის თვით ყველაზე დაბალი რანგის თანამშრომლის (მაღალჩინოსნებს ვინ ჩივის!) ენა-პირით ნათქვამითაც არ ცდილობს ხელისუფლება, გაემიჯნოს ამ უმრავლესობას.

არადა, „ავი ენები“ ამბობენ, დუმილი ოდითგანვე თანხმობის ნიშანი იყო და არისო.

და რახან ასეა, ჩვენ, გადასახადის გადამხდელებმა და ამომრჩევლებმა, ხომ არ მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი?

**რაო, ხელისუფლებას კეისრის ცოლზე ნაკლებად უნდა მოეთხოვებოდეს უმწიკვლო პატიოსნება და ეჭვზე მაღლა დგომა?**

**კეისრისთვის ხომ არ მიგვებაძა, ხალხო, და ხომ არ „გავყროდით“ ამ ყველაფერზე წამსვლელ და მდგომარეობის შენარჩუნებისთვის ყველაფრის მკისრებელ „ცოლს“?**

რუსლან რუსია

ინფორმაცია

## ნავთობის ტრანზიტი მატულობს

**წელს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენებით 42,4 მლნ. ტონა ნედლი ნავთობის ტრანზიტი განხორციელდა.**

**საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ინფორმაციით, 2010 წელს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით ჯეიჰანის პორტში 38 379 მლნ. ტონა აზერბაიჯანული ნედლი ნავთობის ტრანზიტი განხორციელდა. 2009 წელს იგივე მაჩვენებელმა 38 271 მლნ. ტონა შეადგინა.**

**დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენით, 2010 წელს, სუფსის ტერმინალში 3 985 მლნ. ტონა ნავთობი გადაიზიდა. 2009 წელს, აღნიშნული მარშრუტით გადაზიდული ნავთობის მოცულობა 4 487 მლნ. ტონა იყო.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 15. ოთხშაბათი, 26 იანვარი, 2011 წელი.

პოზიცია

# „ურუსეთოდ ვერაფერს გავხდებით“



***საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველო საზღვარგარეთ“ ლიდერი, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე „Российская Газета“-ს საქართველოში არსებულ ვითარებაზე და ამ რეალობაში საკუთარ მიზნებზე ესაუბრა.***

**— იგორ, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, სამშობლოში თქვენ რამდენიმე ოპოზიციურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობთ. მათ მიმართ რეპრესიები მძლავრდება. უშუალოდ თქვენთან დაკავშირებით კი საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გამოჩენის შემთხვევაში დაგაკავებენ და დაგხვრეტენ. არის თუ არა თქვენს მიერ მოსკოვში დაარსებული ორგანიზაცია საქართველოში პრესინგის ქვეშ მყოფი ოპოზიციური გაერთიანებების ალტერნატივა?**

— 2009 წელს რუსეთის იუსტიციის სამინისტროში რეგიონული საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო საზღვარგარეთ“ დარეგისტრირდა. მისი დაფუძნებით ჩვენ იმ ახალ რეალობას გამოვეხმაურეთ, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედი – 1,5 მლნ ადამიანი საზღვარგარეთ აღმოჩნდა. ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობა 4,5 მლნ ადამიანს შეადგენს, ეს კატასტროფული ციფრია. იძულებითი ემიგრანტების დიდი ნაწილი დღეს სწორედ რუსეთში ცხოვრობს. ისინი საქართველოდან ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით წავიდნენ. სადღეისოდ ქართული დიასპორა უკვე ხუთამდე საზოგადოებრივ მოძრაობას აერთიანებს. ჩვენ ერთ-ერთი მათგანი ვართ და დიასპორის იმ ნაწილს მოვიცავთ, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს. ჩვენთვის გაცილებით ადვილი იყო, საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მოწინააღმდეგეები და მხარდამჭერები თავად საქართველოში შეგვეკრიბა, ვინაიდან 2006 წლამდე რუსეთში „სამართლიანობის პარტიის“ უცხოეთის ფილიალი მოქმედებდა. ამ პარტიას დღემდე ვხელმძღვანელობ, თავად პარტიამ კი საქართველოში ჩვენი ლიდერების დაკავების გამო მოქმედება დროებით შეაჩერა.

**— ვინ გაერთიანდა თქვენი მოძრაობის რიგებში?**

— ჩვენს ორგანიზაციას ეროვნული ნიშნით არ ვაგებთ. მასში როგორც ქართველები, ისე რუსები, სომხები, აზერბაიჯანლები, აფხაზები, ოსები, სხვა ეროვნებათა ის წარმომადგენლები გაერთიანდნენ, რომლებიც იძულებულები იყვნენ, საქართველოს ტერიტორია დაეტოვებინათ. ამიტომაც დავარქვით ჩვენს მოძრაობას არა „ქართველები საზღვარგარეთ“, არამედ „საქართველო საზღვარგარეთ“.

**— რა მიზნებს ისახავს თქვენი ახალი მოძრაობა?**

— გვსურს, მთელი დიასპორა მძლავრ საზოგადოებრივ ძალად გარდაიქმნას, რომელსაც საქართველოში არსებულ ვითარებაზე ზეგავლენა შეეძლება. არსებობს პროცესები, რომლებმაც საქართველო ჩიხში შეიყვანა და მმართველი რეჟიმის არასწორი, რიგ შემთხვევებში კი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მივიღეთ. შეიქმნა რაღაც „სხვა საქართველო“, რომელსაც რატომღაც „ახალს“ უწოდებენ. ჩემი სამშობლო ექსპერიმენტების ველად აქციეს, მას მიზანმიმართულად ცვლიან, ცდილობენ, სრულიად უცხო მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმები მოახვიონ თავს და რაც შეიძლება, სწრაფად და შეუქცევადად მოსწყვიტონ ათასწლოვან ფესვებს. ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგები სახეზეა: ჩვენ მოძმე აფხაზი და ოსი ხალხები, ტერიტორიების ნაწილი დავკარგეთ. დამიჯერეთ, არც ერთი ქართველი, რომლის წინაპრები აქ ასწლეულების განმავლობაში ცხოვრობდნენ, ამას არ შეეგუება.

**— არაერთ ინტერვიუში განგიცხადებიათ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას არასოდეს შეეგუებით, მაგრამ როგორ შეძლებთ მათ დაბრუნებას? საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ამას მშვიდობიანი გზით შეეცდება....**

— საქართველოს ტერიტორიების ნაწილის დაკარგვაში რუსეთის დადანაშაულების არანაირი ობიექტური საფუძველი არ მაქვს. საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელობა, წინას მსგავსად, ყველაფერს აკეთებდა, რომ აქამდე მივსულიყავით. ვითარდებოდა მხოლოდ კონფრონტაციის ხაზი, არავინ ეძებდა დარეგულირების მშვიდობიან, სწორ გზებს. ამასთან, უგულებელყოფილი იყო აფხაზების, ოსების და იგივე რუსების ინტერესები. მიდიოდა თეზისის „საქართველო – ქართველებისთვის“ მძლავრი პროპაგანდა. ასე რომ, რაც დავთესეთ, იმას ვიმკით – სახელწიფოებრიობის დაკარგვას. საქართველოს ამჟამინდელი რეჟიმის პოლიტიკური განცხადებების კომენტირებისგან კი თავს შევიკავებ, ვინაიდან ეს ჩემი სფერო არ არის – ეს ფსიქიატრიაა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ახლა შორეული პერსპექტივაა. ათწლეულები გავა, სანამ მათ დავიბრუნებთ. ამასთან, დასაბრუნებელია არა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, არამედ აფხაზები და ოსები. ასე, რომ, უნდა მივუსხდეთ მაგიდას და დავიწყოთ საუბარი. ეს ხანგრძლივი და მძიმე პროცესი იქნება, დასაწყისისთვის კი ყველას ცოდვების მონანიება გვმართებს, რადგან ჩვენ ყველანი დამნაშავეები ვართ.

**— თბილისში თქვენ კრემლის სასარგებლო პოლიტიკის წარმოებაში და მისი დაკვეთების შესრულებაში გადანაშაულებენ....**

— დიდი ხანია, აღარ ვრეაგირებ იარლიყების მიწებების ამ მცდელობებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაიწყო. სადღეისოდ ბევრი იმათთაგანი, ვინც ამ ბრალდებებს მიყენებდა, თავად ცდილობს კრემლისკენ გზის გაკვლევას, მე კი მოსკოვთან ურთიერთობების დარეგულირების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში ვსაუბრობდი. ურუსეთოდ ფონს ვერ გავალთ და ვერაფერს გავხდებით. ეს უკვე შეიგნო დსთ ქვეყნების ბევრმა მმართველმა, რომელიც ცდილობდა, დასავლეთზე და აშშ-ზე აეღო კურსი. რომელიღაც სახელმწიფო მოხელემ თქვა: „პოლიტიკაში ბრწყინვალე მომავლით მოდიან და საშინელი წარსულით მიდიანო“, – სწორედ ეს ელით მათ, ვინც კავკასიიდან რუსეთის განდევნას ცდილობს.

პირადად მე პროქართული პოზიცია მაქვს: სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, ხოლო თუ ეს მხოლოდ რუსეთის გარანტიითაა მიღწევადი, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობებია საჭირო, თუ გნებავთ, სტრატეგიულიც კი.

**— და მაინც, შესაძლებელია თუ არა საქართველოს დასავლეთის კალთის ქვეშ გადასვლა?**

— მოდით, ცოტა სხვაგვარად დავსვათ კითხვა: სჭირდება თუ არა ეს დასავლეთს? თავად ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ამჟამინდელი საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა. სადამდე მივედით: ითვლებოდე პროამერიკელ პოლიტიკოსად – უფრო მომგებიანია, ვიდრე პროქართულად! და რაა შედეგი? – ტერიტორიის ნაწილი აღარ გვაქვს, აღარ გვყავს აფხაზი და ოსი ხალხები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები წავიდნენ, ეკონომიკა ძლივს სუნთქავს, ნორმალურ ფულს მხოლოდ ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები აკეთებენ, ისიც – გადასახადების ამერიკელი გადამხდელების ხარჯზე, ვინაიდან ვაშინგტონი ყოველწლიურად უგდებს თბილისს „ეკონომიკის დახმარებისთვის“ ათობით მილიონ დოლარს...

სხვათა შორის, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ბურებთან – სამხრეთ აფრიკელებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. მათგან დაახლოებით 40 000, ვინც საკუთარ ხელისუფლებასთან საერთო ენა ვერ გამონახა, მზადაა, საქართველოში გადასახლდეს. იქნებ, ამ დიასპორის საშუალებით აპირებს თბილისი ეკონომიკის აღორძინებას?!

ინფორმაცია

## შესაძლოა, უყურადღებოდ დატოვებული მთიანეთიც დავკარგოთ

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ სასწრაფოდ დასამუშავებელია მთის კანონთა კომპლექსი, რომელიც მოსახლეობას ადგილზე დაამაგრებს, ბარად მცხოვრებ მთიელებს კი უკან დააბრუნებს.**

**— განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ჩვენს ჩრდილოეთ საზღვარზე. უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელიც დაახლოებით 700 გრძივ კილომეტრს მოიცავს, დღესდღეობით მხოლოდ 25 და 30 ათასი კაცი ცხოვრობს. ისიც მესტიისა და ონის რაიონის ხარჯზე. ხოლო დანარჩენი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (ხევს გარდა), პრაქტიკულად ცარიელია. ეს მაღალი ხარისხის საფრთხეების გაჩენას იწვევს, რაც, შესაძლოა, მოკლე ხანში ტრაგედიით დასრულდეს, — აღნიშნა ექსპერტმა მამუკა არეშიძემ.**

**მისი აზრით, ხელისუფლება, პირველ რიგში, დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ეკონომიკური და საბიუჯეტო შეღავათები მიანიჭოს.**

**არეშიძის აზრით, საქართველოს მთიანეთის დაცვით რუსეთი სარგებლობს. — როგორც წესი, მთის მოსახლეობა მესაზღვრეა. როცა მოსახლეობა არაა, მთის დაცვა შეუძლებელია. რუსეთი კი ამას შესანიშნავად იყენებს.**

**— თუ ხელისუფლება საქართველოს მთიანეთის დასახმარებლად მზად არაა, მაშინ მაინტერესებს, მზადაა, დამატებითი ტერიტორია დავკარგოთ? — რიტორიკულად კითხულობს მამუკა არეშიძე.**

ჯი-ეიჩ-ენი

სიტყვა ერის გასაგონად

# ნუ ჩავიდენთ საშვილიშვილო დანაშაულს!

(მეორე გვერდიდან)

სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმებისძ თანახმად, მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მესაკუთრეა და, ამდენად, ხელისუფლებას არც ჰქონდა უფლება ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის გარეშე გაემართა მოლაპარაკებები თურქეთის მხარესთან. საპატრიარქოს მიერ 2011 წლის 18 იანვარს გავრცელებული განცხადების მიხედვით: „თურქეთის მხარისთვის წარდგენილი ტაძრების სია და მოლაპარაკებების პირობები, ბუნებრივია, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო მის მესაკუთრესთან – საქართველოს საპატრიარქოსთან, რაც არც ადრე და არც ახლა არ განხორციელებულა“.



რაც შეეხება ბათუმის ცენტრში გრანდიოზული მეჩეთის მშენებლობას, ეს იქნება საკუთარი რწმენისა და რჯულის, საკუთარი ქვეყნის ღალატი და იგი არ უნდა დავუშვათ. მე მოვუწოდებ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ და საამაყო შვილებს, რომლებმაც გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მოიტანეს ქართული კულტურის მძიმე ჯვარი, აღუდგნენ ამ ანტიქართულ იდეას, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ბრძენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. და თუ ეს სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკის ნაწილია და სხვა გამოსავალი აღარ არსებობს, მაშინ იგი ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილში ააშენონ და არა მაინცდამაინც ბათუმში.

ადრეც მითქვამს და დამიწერია, ხელისუფლებამ აჭარაში მწვანე შუქი აუნთო მედრესეებისა და მედრესე-ინტერნატების მშენებლობას. ეს ყველაფერი კი თანდათანობით რელიგიური და იდეოლოგიური ექსპანსიის სახეს იღებს. ახლა აჭარაში 51 მედრესე და 9 მედრესე-ინტერნატია, რომლებსაც უცხო ქვეყანა აფინანსებს. ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ქართველო ხალხო, თქვენს სისხლსა და ხორცს, აჭარლებს და აჭარას, საიდანაც გადაესხა საქართველოს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ნაკურთხი წმინდა წყალი, ნუ გაგვიმეტებთ და ნუ მიგვაბრუნებთ იქ, სადაც სამმა ჩვენთვის აპოკალიფსურმა საუკუნემ ჩვენს სხეულზე მეწყერივით გადაიარა.

რატომ უნდა დაერქვას ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას თურქი ბიზნესმენის სახელი?! ამ დროს, რატომ გადაერქვა ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას გენიალური რუსი პოეტის, დაბადებით ქართველის, ვლადიმირ მაიაკოვსკის, სახელი, რომელმაც განუმეორებელი ლექსები უძღვნა საქართველოს?! დადის ხმები, რომ თურქ ბიზნესმენს ჩვენი მაღალი რანგის ჩინოვნიკები წილში უსხედან. თურქეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ახალისებს და აფინანსებს თავის მოქალაქეებს, რათა ბათუმში გახსნან მცირე თუ მსხვილი საწარმოები. ბათუმი აჭრელებულია თურქულენოვანი ფირნიშებით, ჩვენი მეზობელი ცდილობს, ამჯერად ეკონომიკურად დაგვიპყროს, რასაც ახერხებს კიდეც. ისტორიული საქართველოს ერთი მესამედი, მეტი თუ არა (ზუსტად არ დამითვლიაძ, დღეს თურქეთის საზღვრებშია. ნუთუ ეს არაფერს ეუბნება ჩვენს ჩინოვნიკებს? აბა, ერთი დღევანდელი თურქეთისა და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც მილიონობით ქართველი ცხოვრობს, ქართული სკოლის გახსნა ვცადოთ? მოგვცემს კი თურქეთის მთავრობა ამის ნებას?!

მე და ჩემი თაობის აჭარლები დედაენით და ილიას იდეოლოგიით გავიზარდეთ; ბავშვობაში, როცა ჯერ კიდევ არ მქონდა ნანახი ვარძია და სვეტიცხოველი, გელათი და მთაწმინდის პანთეონი მესიზმრებოდა. მაღალმთიანი აჭარის სოფლის სკოლაში ჩემი ქართულის მასწავლებელი, ოთხმოცს მიტანებული ქალბატონი ნორა ღლონტი ახლა ფოთში ცხოვრობს და იქიდან ადევნებს თვალს ჩემს ლიტერატურულ სავარჯიშოებს. ჩემი ესეისტური მონოგრაფია ერის მამის ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოწამებრივი სიკვდილის შესახებ მისი ღვაწლისა და ამაგის ნაყოფიცაა.

ჩემი და უფროსი თაობის მადლობა მამულის სიყვარულით გულანთებულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც ილია ჭავჭავაძის დაძახილზე, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან უაღრესად დუხჭირი ცხოვრების ჟამს, დაუზარებლად გამოეშურნენ აჭარაში, რათა აქ დედაენისა და ცოდნის ჩირაღდანი აენთოთ.

მათ ამაგს აჭარა არასოდეს დაივიწყებს.

**შოთა ზოიძე,**

**პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, „ქართული აკადემიის“აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი**

**ქ. ბათუმი. იანვარი, 2011 წ.**

პოლიცია

# სახელმწიფო სახელმწიფოში, ანუ სუპერ-პრივილეგირებული კლასი

(მესამე გვერდიდან)

ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური საშუალებების გრძელი სია“. პოლიციელს (მშვიდობიან პერიოდში!!!ძ დაუკანონდა „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე პირის „შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების“ უფლება, რომლის ძალითაც პოლიციელს შეუძლია „ეჭვის დადასტურების ან გამორცხვისათვის აუცილებელი გონივრული“ ვადით შეაჩეროს პირი და „შეჩერებული პირის ტანსაცმელზე აწამოოს ზედაპირული შემოწმება.“ და თუ ამ შემოწმებისას წარმოიშვება ჩხრეკის საფუძველი, „უფლებამოსილი თანამდებობის პირი ატარებს ჩხრეკას“. პოლიციელს ასევე ეძლევა უფლება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებისას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან ერთად (?!ძ ჩაატაროს მოქალაქეთა პირადი და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება.

ამავე პაკეტში გათვალისწინებულია ახალი დებულება პატიმრობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც საპატიმრო დაწესებულებების საკნებში შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან ელექტრონული მეთვალყურეობა „უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე“. ბოლო პერიოდში შსს-ს მოთხოვნით მთელ რიგ სამეწარმეო სუბიექტებს უწევთ თავიანთ შენობებში საკუთარი ხარჯით (?!ძ დაამონტაჟონ შიდა და გარე ვიდეოსამეთვალყურეო აპარატურა. აფთიაქებში უკვე დამონტაჟდა ვიდეოთვალი და პოლიციას თუ სხვა „უფლებამოსილი თანამდებობის პირს“ რეალურ დროში შეუძლია გაიგოს რა წამლებს იძენს მათთვის საინტერესო მოქალაქე, რაზე ესაუბრება პროვიზორს და ა.შ.

**ყველამ იცის, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სასამართლო კიდევ უფრო მეტად იქცა მმართველი პარტიის, პროკურატურისა და შსს დანამატად და მორჩილად ასრულებს მათ მითითებებს, განსაკუთრებით პოლიტიკურად ანგაჟირებულ საქმეებში. ამიტომაც მოქალაქეთა თვალთვალზე მოსამართლისგან ნებართვის მიღება შსს-თვის უკვე კარგა ხანია უბრალო ფორმალობად გადაიქცა. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომელიც პრაქტიკულად არ იცნობს ქვეყანაში მოქმედ კანონებს, ალბათ უნდა იცოდეს, რომ მოსამართლის სანქციით, შსს-ს შეუძლია მოქალაქეთა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; მოქალაქეთა საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლი; ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი — ინტერნეტში, მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას. ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით შსს-ს უკვე აქვს „კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკურ ხაზებთან და მათ შემაერთებლებთან, მაილსერვერებთან, ბაზებთან, კავშირგაბმულობის ქსელებთან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებთან მუდმივი მიერთების, აგრეთვე სათანადო აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსება-მონტაჟის შესაძლებლობა“.**

საერთოდ, პოლიციისადმი მიძღვნილი კანონები იმდენად ბუნდოვანი და ორაზროვანია, რომ თავისუფლად იძლევა მათი მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას და სრულიად დასაშვებია, რომ ეს განზრახ გაკეთდა, იმ როლიდან გამომდინარე, რასაც ამჟამინდელი პოლიცია ასრულებს სახელმწიფოში.

საზოგადოებისთვის საშიში ქმედების და უშიშროებისთვის საფრთხის განსაზღვრა ასევე პირის შეჩერების და შემოწმების გადაწყვეტილება თითქმის 100%-ით პოლიციის წარმომადგენლის სუბიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული. გასული წლის ბოლოსთვის კი კანონმდებლობამ მერაბიშვილის უწყებას მოსახლეობაზე ტოტალური კონტროლის დასამყარებლად ფაქტობრივად სრული კარტ-ბლანში მიანიჭა. იქნებ შს მინისტრის მიერ ნახსენებ პოლიციის „სერვისებში“ ზემოთ ნახსენები ღონისძიებებიც შედის? სხვათა შორის, საბჭოთა ეპოქაში მოქალაქეების „ოპერატიულ-ჩეკისტური მომსახურება“ „კაგებეს“ საყვარელი ტერმინი იყო და რად უჯდებოდა მოქალაქეს ეს „სერვისი“ ყველამ ვიცით.

უდანაშაულო მსხვერპლით დამთავრებულმა პოლიციურმა სპეცოპერაციებმა, გირგვლიანის, რობაქიძის და სხვათა გახმაურებულმა მკვლელობებმა, 7 ნოემბრის აქციის დარბევამ, თბილისის პოლიციის შენობასთან მიტინგის წინააღმდეგ არალეტალური იარაღის გამოყენებამ და ახლახანს ვეტერანთა აქციის დაშლამ კარგად აჩვენა თუ როგორ ესმით პოლიციელებს კანონით მინიჭებული უფლებები, რომლის მიხედვითაც „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელს უფლება აქვს, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი“. „პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის“ არსს კანონი არ განმარტავს. სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი და პირობები მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

ნაციონალური მოძრაობა პოლიციისთვის ამ უპრეცედენტო და დემოკრატიის ნორმებთან შეუთავსებელი უფლებების დაკანონებას პოლიციელის უსაფრთხოებისა და სიცოცხლის დაცვის საჭიროებით ხსნის. შსს-სა და ხელისუფლების არგუმენტი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა, მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ზრუნვა და წესრიგის დაცვა. „თუ ამას პოლიციური სახელმწიფო ჰქვია, მაშინ მე ვამაყობ რომ პოლიციური სახელმწიფო გვაქვს“, — განაცხადა მერაბიშვილმა „კომერსანტთან“ ინტერვიუში, როდესაც ჟურნალისტმა მას კონტროლის გადამეტებული მექანიზმების მიზანშეწონილობაზე ჰკითხა.

თუმცა აქ **იბადება კითხვა, რა სანდო მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ პოლიციელების სიცოცხლისათვის საფრთხე გაიზარდა? თუკი შსს-ს სტატისტიკა ქვეყანაში დანაშაულის შემცირების ტენდენციას აჩვენებს, ხოლო სოციოლოგიური გამოკითხვები პოლიციისადმი მაღალ ნდობას, რის საფუძველზე ითვლება რომ პოლიციელის სიცოცხლისათვის საფრთხეები გაიზარდა?! არც ერთი ობიექტური ინდიკატორი ამაზე არ მიუთითებს.**

პოლიციისადმი მიძღვნილი კანონმდებლობა კიდევ არაერთ „მარგალიტებს“ შეიცავს, რომელთა ძალითაც პოლიციელს უჩნდება რწმენა, რომ რეჟიმისადმი სრული ლოიალობა და პატრონისადმი ერთგულება შესაძლოა ნებისმიერი დანაშაულის თუ გადაცდომის ინდულგენცია გახდეს. პრეზიდენტის მიერ სანდრო გირგვლიანის მკვლელების შეწყალების და ვადამდე გათავისუფლების ამბავი საზოგადოებისათვის ცნობილია. ნაკლებად ცნობილია კანონის ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც „სამინისტროს მოსამსახურის მიერ კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისათვის შეიძლება შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა“ და „დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი“. იცის კი საზოგადოებრიობამ დისციპლინარული სასჯელით „დასჯილი“ პოლიციელებიდან რამდენს მოეხსნა სახდელი „მნიშვნელოვანი დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის“!?

**სამწუხაროდ, დღეს პოლიცია, მცირე გამონაკლისის გარდა, იმაზე მეტად არის პოლიტიზებული, ვიდრე რევოლუციამდელ პერიოდში. თანაც ეს პოლიტიზაცია სრულიად უნიკალურია. მმართველ პარტიაზე დამოკიდებულება არა მარტო წმინდა კონიუნქტურული მოსაზრებებით არის განპირობებული, არამედ რიგ შემთხვევებში იდეური და ღირებულებითი ერთობით. რევოლუციის შემდეგ შსს-ს და უშიშროების სტრუქტურებში მასობრივად მოხდა ნაცმოძრაობასთან დაკავშირებული ახალგაზრდული მოძრაობა „კმარა“-ს აქტივისტების, ასევე თავად პარტიული აქტივის მობილიზება ვანო მერაბიშვილის ჩათვლით. საზოგადოებისათვის უცნობია რჩებიან თუ არა ისინი ნაციონალური მოძრაობის წევრებად.**

ამიტომაც ექსპერტები სრულიად სამართლიანად აყენებენ საკითხს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან პოლიციის გამოყოფის შესახებ, რათა შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იყოს პოლიციის დამოუკიდებლობა, რომ იგი, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში, რეალურად იყოს დაცული პოლიტიკური ზემოქმედებისგან. თუმცა როგორ და როდის მოხდება ეს, არავინ ამბობს.

არ სჭირდება ზედმეტი ახსნა იმას თუ რას ნიშნავს ყოვლისმომცველი ინფორმაციის ფლობა, განსაკუთრებით პირადი ცხოვრების თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის მგრძნობიარე საკითხებზე. **ბუნებრივია, რომ ადამიანებზე ინფორმაციის ფლობა, ამდენი პრივილეგია და ამდენი ბერკეტი საზოგადოებისა და თანამოქალაქეების საკონტროლებლად და დასამორჩილებლად, შსს -ს ყველა სტრუქტურის წარმომადგენელს კიდევ უფრო უზრდის პრივილეგირებული კასტისა და ზეკაცობის განცდას. ეს განცდა კი 2005 წლიდან მოყოლებული ისე მძლავრად გაუჯდათ ძვალ-რბილში პოლიციისა და შსს სტრუქტურების სხვადასხვა რანგის წარმომადგენლებს, რომ საზოგადოება ამას უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კი ხედავს. ამის შემდეგ კი რუსულ გამოცემა „კომერსანტისთვის“ ინტერვიუში მერაბიშვილის სიტყვები, რომ თითქოს საქართველოში „ხალხმა გაიგო რომ პოლიციელი საზოგადოებაზე ზევით კი არ დგას, არამედ საზოგადოების ნაწილია“, მხოლოდ მწარე ღიმილს თუ გამოიწვევს. საგულისხმოა მერაბიშვილის ინტერვიუებიც, სადაც იგი ცდილობს წარმოჩნდეს ძლიერ მინისტრად, რომელსაც ძალუძს კანონები მის „კარგ იდეებს“ მოარგოს, გამოჩნდეს ერისკაცად, საზოგადოების ჭკუის დამრიგებლად, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განმსჯელად და, არჩევნების შედეგების განმსაზღვრელადაც კი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სახელმწიფოში შსს-ს განსაკუთრებულ სტატუსს.**

მშვიდობის ფონდის მიერ შედგენილ არშემდგარი სახელმწიფოების მახასიათებელ 12 ინდიკატორში, ერთ-ერთი გახლავთ სწორედ „უშიშროების აპარატის ფუნქციობა როგორც სახელმწიფოსი სახელმწიფოში“. სამწუხაროდ, ამ ფონდის 2010 წლის რეიტინგში საქართველო კვლავ არშემდგარი სახელმწიფოების ე.წ. „წითელ სიაში“ მოხვდა.

თუმცა შსს-სა და პოლიციასთან დაკავშირებით გაცილებით უფრო დიდი პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაშიც კი ძნელი იქნება მეტისმეტად ალზევებული ამ სტრუქტურის დაბრუნება დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მიღებულ ჩარჩოებში. ვერც ერთი არსებული პოლიტიკური ძალა ვერ გაბედავს ერთი ხელის მოსმით ამის გაკეთებას, რადგანაც ამით საკუთარ უსაფრთხოებასა და ხელისუფლებაში ყოფნას შეუქმნის პრობლემებს. ამიტომაც არის, რომ თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტია თუ ლიდერი, ცდილობს ამ თემაზე ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლოს და პოლიციასთან ხაზგასმით კორექტული იყოს.

**როგორც ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა უოლტერ ლენდორმა განაცხადა, „დესპოტიზმი ყველაზე უსაფრთხოდ თავს გრძნობს იქ, სადაც ის თავისუფლების სახითა და აბრით იმალება“.**

ზაალ ანჯაფარიძე.

ჯი-ეიჩ-ენი



ინფორმაცია

## ოკუპანტები და სეპარატისტები ჩვენი მოქალაქეების დაკავებას განაგრძობენ

**რუსმა ოკუპანტებმა ახალგორის რაიონის წინაგარას დასახლებულ პუნქტთან ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, დაკავებულები ქალაქ გორის მცხოვრებლები არიან.**



**— საქართველოს მოქალაქეების დაკავებისას გაირკვა, რომ მათ სამხრეთ ოსეთის საზღვარი დასახლებულ პუნქტ გუდლეთში ნათესავების მოსანახულებლად გადაკვეთეს. ყოველივე ეს დაკავებულებმა თავად განაცხადეს, — იუწყება ოსური მხარე და აღნიშნავს, რომ „შემდგომი გარკვევის მიზნით საქართველოს დაკავებული მოქალაქეები ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურში გადაიყვანეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

მკაცრი რეალობა

# ეროვნული ბანკის დილემა – ინფლაციის შეჩერება, თუ ბიზნესის და კრედიტების გაძვირება?

## ექსპერტები დამაიმედებელ პროგნოზებს ვერ აკეთებენ



**მზარდი ინფლაცია — უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ — გაძვირებული ცხოვრება, აი, თავსატეხი, რომელიც ქვეყანას 2010 წლის მიწურულს სერიოზულად გაუჩნდა. ფასები საკვებ პროდუქტებზე კატასტროფული სისწრაფით იზრდება, პრეზიდენტმა ამის შესაჩერებლად ანტიინფლაციური გეგმის სასწრაფოდ დაწერა დაავალა მთავრობას, თუმცა მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა, გეგმა კი არ ჩანს.**

თუკი ეროვნული ბანკი აქამდე ასე თუ ისე ახერხებდა ლარის კურსის შენარჩუნებას, წინა კვირას ეროვნული ვალუტა გაიაფდა. გამოდის, რომ ინფლაციის დამარცხება არც თუ მარტივია. გასულ კვირას ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ რამდენიმე ექსპერტთან შეხვედრა გამართა და გამოცდილ ეკონომისტებს კონსულტაცია სთხოვა. შეხვედრიდან გამოსულმა ქადაგიძემ ჟურნალისტებს გულუბრყვილოდ განუცხადა, რომ ეროვნული ბანკი პრობლემის მოსაგვარებლად ყველაფერს აკეთებს: **„ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა, ინფლაციის შეჩერება მხოლოდ ჩემს გადაწყვეტილებაზე რომ იყოს დამოკიდებული. ინფლაციის 90 პროცენტი გარე ფაქტორებით არის გამოწვეული. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ინფლაცია გავანეიტრალოთ, მაგრამ ძალიან შეზღუდულები ვართ. ახლა მთავარია, ჩვენი პოლიტიკა თანამიმდევრული იყოს, რათა შედარებით უმტკივნეულოდ გავიაროთ ეს პროცესები, რაც წინ გველოდება“,** — აღნიშნა მან.

ექსპერტი ლადო პაპავა ამბობს, რომ ეროვნული ბანკის ხედვა აბსოლუტურად სწორია, მოვლენების ადეკვატური და ზუსტია, მაგრამ მარტო ეროვნული ბანკი არ არის პასუხისმგებელი. **„მთავარია მთავრობასთან შეთანხმება. თუკი ეროვნული ბანკი ამ ფრონტზე მარტო დარჩა, მთავრობის თანადგომის გარეშე, ის ვერაფერს ვერ გააკეთებს“,** — აღნიშნა ექსპერტმა.

ლადო პაპავა მხარს არ უჭერს პრეზიდენტის გაპიარებულ სურვილს — 20-ლარიანი ვაუჩერების მოსახლეობისთვის დარიგებას, რაც მთლიანობაში 25 მილიონს შეადგენს. **„ეს არის მხოლოდ ინფლაციის ხელშეწყობა, ამით მთავრობა, ეროვნულ ბანკს ახალ თავსატეხს უჩენს, რათა ამ უკანასკნელმა ფულის მასა მიმოქცევიდან ამოიღოს“,** — ამბობს ექსპერტი. მას მთავრობის მართებული გადაწყვეტილების მიღების იმედი არა აქვს. **„ქვეყნის განვითარების პროგრამა უნდა იქნას შემუშავებული. სამწუხაროდ, ის აქცენტი, რაც კეთდება, არაადეკვატურია. ყველამ კარგად იცის, რომ ტურიზმი ამინდზეა დამოკიდებული. მესტიაში თოვლი არ მოვიდა და აი, სეზონიც ჩავარდა. ასე რომ ტურიზმზე ქვეყნის ეკონომიკის ჩამოკიდება, იმთავითვე მცდარია“.**

ეროვნული ბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი მერაბ კაკულიაც ქადაგიძის კურსს იზიარებს. **„ეროვნული ბანკი ფულად საკრედიტო პოლიტიკას ამცირებს, კომერციულ ბანკებს საკრედიტო განაკვეთებს გაუძვირებს და ამ გზით შეეცდება მიმოქცევიდან ამოიღოს ლარის ჭარბი მასა. დააკვირდებიან, რამდენად იქონიებს გავლენას ეს ხერხი ინფლაციის შეჩერებაზე. თუკი პოზიტიური შედეგი ვერ დადგა, ეროვნული ბანკი პოლიტიკას კიდევ უფრო გაამკაცრებს“,** — ამბობს ის.

ექსპერტის აზრით, ინფლაცია მსოფლიო ბაზარზე სურსათის გაძვირებამ გამოიწვია, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი მონეტარულმა ფაქტორმაც ითამაშა. **„კერძოდ იმან, რომ მკვეთრად გაიზარდა ფულის მასის მე-3 და მე-2 აგრეგატები. საბოლოოდ კი კურსის მაჩვენებელი გაიზარდა. 2010 წლის ბოლოდან მონეტარული ფაქტორების ზემოქმედებამ შესუსტება დაიწყო და ეს არის სტერილიზაციის პოლიტიკის შედეგი. მიმაჩნია, რომ ამ წლის პირველ ნახევარში ინფლაციის შემსუბუქება მოხდება, მაგრამ თუკი ჩემი ვარაუდი არ გამართლდა, მაშინ ეროვნული ბანკი კიდევ უფრო გააძვირებს ბიზნესის დაკრედიტებას“,** — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ეს ნიშნავს, რომ ბიზნესის დაწყების მსურველთა რიცხვი ძალიან შემცირდება და კომერციული ბანკებიც კიდევ უფრო გაძუნწდებიან, რაც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს უკან დასწევს. **„ესეც სადაო საკითხია, თითქოს რაც მეტია ინფლაცია, მით მეტია ეკონომიკური ზრდა. ინფლაციის მიშვებაც არასწორია. ამას ექნება სპირალის ეფექტი, როგორც ეს არაერთხელ მოხდა. გაიზარდა ხელფასი, გაძვირდა პროდუქცია, კიდევ გაიზრდება ხელფასი, ასევე გაძვირდება პროდუქცია“...** გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ინფლაციის ზღვარი 12-13 პროცენტს შორის მერყეობს. ჩვენ კი ამ ნიშნულთან ძალიან ახლოს ვართ. ოფიციალური სტატისტიკით ინფლაცია ქვეყანაში 11,3 პროცენტია, თუმცა რეალურად კიდევ უფრო მეტს ვარაუდობენ (დაახლოებით 20 პროცენტსძ. **„ამ ეტაპზე ეროვნული ბანკის ქმედებებიდან მნიშვნელოვანია სტერილიზაციური აქტიურობა, ანუ სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება, ვთქვათ, რეფინანსირების ოპერაციები, რომელიც ფულის მასის მიმოქცევიდან ამოღებას ემსახურება“,** — აღნიშნავენ ექსპერტები და გიორგი ქადაგიძეს მხოლოდ და მხოლოდ ფულად საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებას ურჩევენ. მართალია, ეროვნული ბანკი ჯერჯერობით თავს არ ართმევს შექმნილ ვითარებას, მაგრამ მთავრობაც გულხელდაკრეფილი ვერ იქნება. მთავრობისა და ეროვნული ბანკის შეთანხმებული და კოორდინირებული მოქმედება მაშინ იქნებოდა შედეგიანი, თუკი ხელისუფლება საბიუჯეტო ხარჯებს შეამცირებდა. **„თანამშრომლობა იმ ნაწილში შეიძლება, რომ საბიუჯეტო არხებით არ მოხდეს სახსრების არარაციონალური მონეტიზაცია, ანუ მიმოქცევაში ფულის ისეთი გასვლა, რომელიც მერე შეუქმნის სირთულეებს ეროვნულ ბანკს“,** — აღნიშნავენ ეკონომიკის სპეციალისტები.

რადგან ასეთი შემაშფოთებელი ინფლაცია საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის გაძვირებამ გამოიწვია, მთავრობაც მიხვდა, რომ აქცენტი სოფლის მეურნეობაზე უნდა გაკეთდეს. ადგილობრივ წარმოებას შეუწყოს ხელი, მაგრამ ამას დრო სჭირდება... დრო სჭირდება იმასაც, თუ როდის მოახერხებენ ბიუჯეტის მამები სახსრების სოფლის მეურნეობისთვის გადადებას, რომ რეალური შედეგი რაც შეიძლება სწრაფად დადგეს.

იქამდე კი... ინფლაცია უკანმოუხედავად გვიტევს.

**თეა მოსია**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „ბიუჯეტი ფულს კარგავს, მგზავრი – კომფორტულ მომსახურებას“

**ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 2010 წლის 6 ივლისის ნომერში დასტამბულ წერილში, აგრეთვე, „საქართველოს რესპუბლიკის“ მომდევნო ნომრებში ( 14, 15,20 ივლისი) გამოქვეყნებულ მკითხველთა გამოხმაურებებში, საუბარი იყო იმ ფრიად აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემებზე, რაც კარგა ხანია აფერხებს ქვეყნის ავტოსატრანსპორტო სექტორის ნორმალურ ფუნქციონირებას.**

კერძოდ, რა პრობლემებსა და სატკივარზეა ლაპარაკი? როგორც ხსენებულ მასალებშია აღნიშნული, მართალია ქვეყანაში მოქმედებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის 2008 წლის 31 დეკემბრის № 193 ბრძანებით დამტკიცებული **„ავტოსადგურების ფუნქციონირების წესი და პირობები“, მაგრამ მისით უკმაყოფილონი არიან როგორც მგზავრები, ისე ავტოსადგურები და მძღოლები (გადამზიდავები).** იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ ბრძანებაში მომდევნო წელსვე შეიტანეს ცვლილებები და დამატებები, მოქმედ წესში მაინც არ არის განსაზღვრული საავტობუსო გადამზიდავების მოვალეობები, უფლებები და პასუხისმგებლობა, რაც იწვევს დარგის საქმიანობაში უამრავ ხარვეზსა და გაუგებრობას. ხშირია შემთხვევები, როცა ავტოსადგურიდან ავტობუსი გასვლას აგვიანებს ან საერთოდ მარშრუტი იშლება, მაგრამ ამაზე პასუხს არავინ აგებს. ეს ბუნებრივია იწვევს მგზავრთა უკმაყოფილებასა და აღშფოთებას, მაგრამ მათი პრეტენზიები გულთან არავის მიაქვს.

მარტო ეს არ არის. ბოლო წლებში საავტომობილო ტრასებზე მომრავლდნენ ეგრეთ წოდებული **„ხიშნიკები“, რომლებიც ავტოსადგურებში საერთოდ არც შედიან და პირდაპირ გზიდან იტაცებენ მგზავრებს.** სწორედ ეს იწვევს შემდეგ გზაში უამრავ დარღვევებსა და გაუგებრობას. მძღოლები იმის გამო, რომ ფულს ეხარბებიან, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მგზავრი გადაიყვანონ და ერთმანეთს გასწრებაში ეჯიბრებიან, რაც არც თუ იშვიათად ავარიითა და ტრაგიკული შემთხვევებით მთავრდება. ამას ემატება რეისებში გასვლის წინ მძღოლთა სამედიცინო შეუმოწმებლობაც, რაც ასევე დიდად სახიფათოა გარანტირებული მგზავრობისთვის.

უფრო უარესი ის არის, რომ ზოგნი მთელი ამ უწესრიგობისა და დომხალის გამართლებას საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ლიბერალიზმის მოშველიებით ცდილობენ. **მავანი ფიქრობს, რომ რაკი ავტოტრანსპორტი კერძოა, მის მძღოლს როგორც მოეპრიანება და როგორც მის ჯიბეს მოუხდება, ისე შეიძლება მოიქცეს.** ლიბერალიზმის ასეთ გაგებას, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით. მიგვაჩნია, რომ გადაზიდვების პროცესის მონაწილე სუბიექტები სიტყვით ლიბერალობენ, საქმით კი ფაქტობრივად სახელმწიფო თანხებს ითვისებენ. რადგან ერთიანი სამარშრუტო განრიგი და მისი შესრულების კონტროლი არ არსებობს, საეჭვოა, კერძო პირმა საკუთარი თავი გააკონტროლოს. ამიტომაც შემოსული თანხები იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში მოხვდეს, მას რეალურად მოგებაში უშვებენ და შემდეგ მაღალი ხელფასებისა და პრემიების სახით ითვისებენ. ერთი სიტყვით, ზარალდება ბიუჯეტიც და ზარალდება მგზავრიც, რომელიც კარგავს კომფორტულ ავტოსატრანსპორტო მომსახურებას.

**საგაზეთო პუბლიკაციებში წამოჭრილ ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე რეაგირებას, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულ თუ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ პასუხს ვითხოვდით წერილით (2010 წლის 24 აგვისტო, №4-45), რომელიც გაეგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, მაგრამ თურმე ამაოდ. რაც უნდა საკვირველი იყოს, იმათგან პასუხი, უბრალო სატელეფონო შეხმიანებაც კი, დღემდე არ გვღირსებია.**

რატომ? გაუგებარია. ამ პრობლემის (და არა მარტო ამ პრობლემისძ მოგვარება, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ხომ ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის, უშუალოდ საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის ინტერესებშია. სწორედ მათი მოვალეობა გახლავთ, დაარწმუნონ სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურათა მუშაკები, გამოსცენ ისეთი სრულყოფილი ნორმატიული აქტები, რომელთა მეშვეობითაც საავტომობილო ტრანსპორტი ერთიან სატრანსპორტო პროცესში მისთვის კუთვნილ ღირსეულ ადგილს დაიკავებს. რა თქმა უნდა, **რეფორმების გატარება საჭიროა, მაგრამ რამდენადაც ეს რეფორმები მუდმივი პროცესია და არავინ უწყის როდის დასრულდება, აუცილებელია მუშაობა მიმდინარეობდეს იმ ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც ამჟამად მოქმედებაშია.**

ვფიქრობთ, ასევე აუცილებელია ამ საქმეში საართველოს ტრანსპორტის აკადემიის ჩართვა და მასთან აქტიური თანამშრომლობით პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. ეს აკადემია ხომ სწორედ იმ მიზნით დაფუძნდა, რომ შეიმუშავოს და წარმოებაში დანერგოს საავტომობილო გადაზიდვების პროცესში მონაწილე სუბიექტების და დარგში დასაქმებულთა თანამდებობრივი მოვალეობებისა და ვალდებულებების ყოველმხრივ გააზრებული სტანდარტები, რომლებიც უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცების შემდეგ სავალდებულო იქნება ყველა მათგანისთვის, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

**ეჭვს არ იწვევს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ ხსენებული აკადემიის პოტენციალის ფართოდ გამოყენება როგორც მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში, ისე მათ მიერ საკანონმდებლო ინიციატივებისა და სტანდარტების შემუშავებასა და საავტომობილო გადაზიდვების მონაწილეთა მიერ დადგენილი სტანდარტების რეალიზაციაში, უდავოდ წაადგება დარგის უმოკლეს ვადაში გაცოცხლებას.**

ჰოდა თუ ამ ყველაფრის გაკეთება რეალურია, არ მესმის, ხელიდან რატომ უნდა გავუშვათ? ამიტომაც კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მოვითხოვთ, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციისა და საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტისგან რედაქციიდან გაგზავნილ წერილზე პასუხის გაცემას. მოიწერეთ ბატონებო, რის გაკეთებას აპირებთ, საზოგადოებრიობის მიერ დასმული მტკივნეული ავტოსატრანსპორტო პრობლემების გადასაჭრელად? გარწმუნებთ, თუ ყველანი (სატრანსპორტო ადმინისტრაცია, ტრანსპორტის აკადემია, გაზეთის რედაქციაძ მოვინდომებთ და მჭიდროდ ვითანამშრომლებთ, წარმატებას წინ ვერაფერი დაუდგება. აქვე ვიტყვი, ეს ფრიად საშური საქმეა და მის დროში გაწელვას თავად დრო არ გვაპატიებს.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ საბანკო ბიზნესი

## სრული განუკითხაობა და უიმედობა

**საბანკო ბიზნესში განუკითხაობაა. მოქალაქეებს თავისი შეხედულებებისამებრ უდიდებენ პროცენტებს, მოტყუებით ქონებას (განსაკუთრებით სახლებს) ადებინებენ იპოთეკაში. კაბალური პირობების გამო პიროვნებები ვეღარ იხდიან დაგროვილ პროცენტებს, კარგავენ ბინებს. არასამთავრობოების მონაცემებით, თვითმკვლელობის უმეტესობა სწორედ ამ კატეგორიის ხალხზე მოდის.**

**მცხეთის რაიონის სოფელ ზაქაროს მოსახლეობას 2007 წლის სექტემბერში მეზობელი სოფლის ბიწმედის მკვიდრის გაბრიელ სისაურის თავკაცობით, პაატა გავაშელი და ჯონი ფერაძე ესტუმრნენ. სისაურმა მასპინძლებს მოსულები ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელებად გააცნო, გვიხსნის სოფელ ზაქაროს მკვიდრი, თბილისში დროებით მაცხოვრებელი ლოლა გოჩალეიშვილი.**

**მშენებლებმა მოსახლეობას მიწების იპოთეკის წესით ჩადება სთხოვეს და აღუთქვეს, რომ ერთ წელიწადში საკარმიდამო ნაკვეთებს თავისივე სახსრებით გამოუსყიდიდნენ და ფართებს დააკანონებდნენ.**

**სოფელი ნაკლებად შემოსავლიანია. თითქმის დაცლილია შრომისუნარიანი მოსახლეობისგან. დარჩენილნი არიან მოხუცეები და ბავშვები. „მშენებელმა“ იპოთეკარებმა ისარგებლეს შექმნილი მდგომარეობით და 2007 წლის 14 დეკემბერს ადგილობრივებს ხელი მოაწერინეს დოკუმენტზე და სანატორო წესით მიწის ნაკვეთები ერთი წლის ვადით იპოთეკაში ჩაადებინეს. — აგრძელებს ჩვენი რესპონდენტი.**

**ამის შემდეგ დატრიალდა უცნაურობების მთელი კასკადი. ფერაძისა და გავაშელის სამშენებლო ფირმა დააზღვია სადაზღვევო კომპანია „ოლიმპმა“. ის თავდებად დაუდგა მშენებლებს „სოკართან“, რომ საწვავის ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში დავალიანების დაფარვას „ოლიმპი“ კისრულობდა. ლ. გოჩალეიშვილი იქვე დასძენს, რომ მოხდა ის, რაც თანამდევია ქართულ ბიზნესში. ყოფილმა კომპანიონებმა ერთმანეთი გადააგდეს. საწვავის შემომტანი „სოკარი“ თავდებად დამდგარ სადაზღვევო კომპანია „ოლიმპს“ სთხოვს ვალს, ეს უკანასკნელი კი — მშენებლებს. ფირმა კი უსირცხვილოდ ითხოვს იპოთეკარი გლეხებისაგან საკუთარი მიწების გამოსასყიდ თანხებს. არსებული ბაქქანალიის, გაურკვევლობისა და საკარმიდამო ნაკვეთების დაკარგვის შიშით ორი ხანშიშესული ქალბატონი გარდაიცვალა.**

**მშენებლებმა სასამართლოს მიმართეს. ისიც შეუდგა მოსახლეობისთვის წერილების დაგზავნას, სადაც მოხუცებსა და ბავშვებს დაუყოვნებლივ სთხოვს სასამართლოში გამოცხადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ფართებზე ყადაღის დადებით იმუქრება. ბანკიც სწორედ ამას ელოდება, ყადაღის დადების შემდეგ იპოთეკარების მიწებს სარფიანად გაყიდიან — ამბობს ჩვენთან მოსაუბრე.**

**და არავინ არ ჩანს ისეთი, ვინც ზაქაროელებს იხსნის მოსალოდნელი უბედურებისაგან.**

**ზაზა ბილიხოძე**

◉ წიგნი

## გაღმა წასვლა მას უხარის?!

**ყდიდან მომღიმარი ეს სიმპათიური ქართველი ქალბატონი, აწ უკვე გაამერიკელებული, გვარიანად აბრუნა, როგორც ეტყობა ანოტაციიდანვე, „ვაჰ, სოფელმა“, დიდი შოთა რუსთაველის ენა-პირით ასე სამართლიანად და დაუვიწყარად ნასაყვედურევმა, „შიგან მყოფმა“ და „რა ზნე ნაჭირვებმა“...**

ქეთევან ხარშილაძე თბილისში, ფსიქოლოგი მშობლების ოჯახში დაბადებულა 1951 წელს (ასაკს იმავე ყდიდან თავად გვიმხელს და აღარც ჩვენ „ვმალავთ“); პირველი საშუალო სკოლისა და შემდეგ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, წლების განმავლობაში პედაგოგობდა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში. ქეთევანს არაერთი სპექტაკლი დაუდგამს საქართველოს თეატრებში.

მერე ის იყო, აირია დრო და ქვეყანა (არც ახლაა დალაგებული); შემოქმედი ხელოვანი ქალი მოუსვენრობამ და ადგილთა შეცვლის ონეგინისეულმა სურვილმა აიტანა და აჰყვა კიდევაც „სოფლის ბრუნვას“; სხვადასხვა ქვეყანაში ნამოგზაურევ-ნაწვალევი, ბოლო შვიდი წელია აშშ-ში ცხოვრობს და სავსეა კიდევაც ამერიკული შთაბეჭდილებებით.

ზემოთ ორჯერ ვახსენეთ ყდა და დროა თვით წიგნიც „მოვაყოლოთ“, ორმაგსათაურიანი: „30 პროცენტი ფასდაკლებით“ და „თეთრი იხვი“. ავტორი, ახლა უკვე ქმრის გვარითაც ნიშანდებული და დამშვენებული ქეთევან ხარშილაძე-ასსერი, თავის ნაწარმოების დასახელებასავით „გაორებული“, პროლოგში გვამცნობს: ჩემი რეალური ცხოვრება აშშ-ში, ნიუ-მექსიკოს შტატის დედაქალაქ სანტა-ფეში დაიწყო, წმინდა გვადალუპესა და ელ-გ.რეკოს ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შენობაში და სწორედ ამ კედლებში მიმდინარე ამერიკული ყოფის ეპიზოდების გაზიარება მინდაო.

ჰოდა, ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა გავიზიაროთ ცხრა მთისა და ზღვის იქით ბედის საძიებლად წასული და მგონი მპოვნელი ერთ-ერთი ქართველი „ამერიკანიზებული“ ქალბატონის თავგადასავალი, ოღონდ იმასთან ერთად სულ „თავიდან“, 1990-იანი თბილისური წლებიდან დავიწყოთ...

საჭმელი არა! სინათლე არა! წყალი არა! სითბო არა! დაცვა არა! არა, არა, არა!..

სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი ვიყავი და რეპეტიციებს ყოფილი ლენინის, დღევანდელი თავისუფლების მოედნიდან მოლწეული ავტომატების კაკანის, ბეტეერების დგანდგარის, შიგადაშიგ მძლავრი აფეთქებების ფონზე ვაწყობდით, სანთლის შუქზე, ისე, რომ გვციოდა და გვშიოდაო. ქვეყანა ჯოჯოხეთს დაემსგავსაო.

ჩემი კოლეგები და მე იმდროინდელი მთავრობისაგან მოვითხოვდით თეატრისთვის იმ ისტორიული შენობის დაბრუნებას, რომლის კედლებშიც ათეულობით წლის მანძილზე სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ბედნიერი სამყარო იქმნებოდაო...

გაუსაძლისი გამხდარა ყოველივე ეს და გადაწყვიტა ქეთევანმა აქაურობის დატოვება. უნდა წავიდეს, მაგრამ სად? რა თქმა უნდა, ამერიკაში, „თავისუფლების ქვეყნად“ წოდებულში.




წვალება, ხეტიალი, უამრავი დაბრკოლების გადალახვა და აი, უკვე „თავისუფლების ქვეყანაშია“ ქეთევან-წამებული და თითქოს ამ წამების ჯილდოდ, პირველ ამერიკულ შოპის ლამეს ეცნობა მომავალ მეუღლეს ჯონ ასსერს, მალე უგებენ ერთმანეთს და ერთ წელიწადში შეუღლდებიან.



„თავისუფლების ქვეყანაში“ კი თავისუფლად არაფერია, შენ თავისუფალი ხარ მხოლოდ უმუშევრად, უფულოდ, უსახლკაროდ ყოფნაში... და გაგონდება შენი სამშობლო, საქართველო, სტუმართმოყვარეობით, საჭმელ-სასმელით, დიდებული ღვინით, თეატრით, მუსიკით, მხატვრობით, ინტელექტუალური სიმდიდრით რომ იყო ცნობილი...

ელირსა გმირს, როგორც იქნა, სამსახური — გამყიდველობა მაღაზიაში, რომელიც იმის სახლიდან საათნახევრიან საავტომობილო სავალზეა, გალერეაში, სადაც ყველაფერი 30-პროცენტიანი ფასდაკლებით იყიდება. ამერიკაში ქეთევანის რეალური ცხოვრების პირველმა დღემ წარმატებით ჩაიარა, რაც მენეჯერმაც მიულოცა და მეუღლემაც — შინ დახვედრებული მეფური სადილით...

არაერთი ამბავი გადახდება მოსათხრობისა თუ მონათხრობის გმირს სანტა-ფეში, ორი ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე „ინდიელ თვითნასწავლ შემოქმედთა გალერეაში“ და ყველას ცოცხლად, მიმზიდველად გადმოგვცემს. ერთ რამეს ღირს, მაგალითად, იქ ელეგანტური ლედის შესვლა და ქეთევანთან გამოსაუბრება: ლედის მეუღლეს ხომ სამი დღე დაუყვია თბილისში და სრულიად მოხიბლული დაბრუნებულა ამერიკაში — შემოგარენის ბუნებით, ადამიანთა დახვედრით, უგემრიელესი კერძებით, განსაკუთრებით კი მუსიკით... 30 პროცენტით ფასდაკლებული მაღაზიიდან ფასგაზრდილი ეპიზოდების აღწერა გიტაცებს...

მერე წაიკითხავ სამშობლოდატოვებული ქალის, შორს შეხვედრილი კაცისა და ლამაზი, თეთრი, წითელნისკარტიანი იხვის პატარა ამბავს, ქალისა, რომელსაც ეუბნებიან — შენი სამშობლო მოკვდაო, მაგრამ რომელსაც სწამს, რომ სამშობლო არა კვდება... იხვისა, რომელიც კაცმა დაჟანგული ნემსკავისაგან დაიხსნა...

„30 პროცენტი ფასდაკლებით“ და „თეთრი იხვი“ არა მარტო ორსათაურიანია და ორგვარიანავტორიანი, არამედ ორენოვანიც — ქართულ-ინგლისური, თუ გნებავთ, ინგლისურ-ქართული. პირველი თხზულება ქართულიდან ინგლისურად ჯონ ასსერის უთარგმნია, მეორე — დავით აკრიანს. წიგნი გამოსაცემად მოუმზადებიათ ლია მელიქიშვილსა და ჯუანშერ ამირანაშვილს, ჩინებული გარეკანის დიზაინიც იმათვე ეკუთვნის.

„ეს პატარა წიგნი ჩემი პირველი ცდაა, რომ მწერალთა სამყაროში შევაბიჯო, როგორც ავტორმა. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახსა და მეგობრებს, ვინც ხელი შემიწყო ამ გაბედული ნაბიჯის გადადგმაში“ — წერს ქეთევან ხარშილაძე-ასსერი; და კიდევ — წლევანდელი წლიდან ის მეუღლესთან, ჯონ ასსერისთან ერთად ორივე ქვეყანაში, აშშ-სა და საქართველოში აპირებს ცხოვრებას. ფეხბედნიერება ვუსურვოთ ყველგან...

**თამაზ ეზანოიძე**

## ჩვენ ისტორიის სიღრმიდან მოვდივართ

**ქართველები კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძირძველი მოსახლეობა, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურული ერია.**

ქართული სახელმწიფოებრიობის 3 ათასწლეულის მანძილზე ქართველებმა უთანასწორო ბრძოლებში არა მარტო გაუძლეს ისტორიულ კატაკლიზმებს, არამედ გარკვეული წვლილიც შეიტანეს საკაცობრიო საუნჯის შექმნაში, როგორც კულტურის, ისე მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმოქმნასა და განვითარებაში. ქართველები, საქართველოს მკვიდრი, ადგილობრივი წარმოშობის ხალხია, 3,5 მილიონი ადამიანი. ისინი საქართველოს ყველა გეოგრაფიულ ზოლში (მთა, ბარი, ზეგანი) მკვიდრობენ. საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველები ცხოვრობენ ირანში (ფერეიდანი, მაზანდერანი, გილანი), საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე: თურქეთში (ლაზეთი, ჭანეთი, ტაო-კლარჯეთი), აზერბაიჯანში (საინგილო, ისტორიული ჰერეთი). 1921 წლიდან ქართული დიასპორა ცხოვრობს საფრანგეთში. XX საუკუნეში ქართული ემიგრაცია რამდენიმე ეტაპად გადის ევროპაში: 1921 წ. 1941 წ.წ. 1990-იანი წლებიდან. დაუზუსტებელი მონაცემებით რუსეთში ცხოვრობს 800 ათასი, ირანში — 150 ათასი, თურქეთში 3 მილიონი, დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში 200-250 ათასი.

არქეოლოგიური მასალების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებმა განვლეს კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხური, უძველესი დროიდან ნათლად ჩანს კულტურის განვითარების უწყვეტი ჯაჭვი. ქართველები და მათი წინაპრები ითვლებიან მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მონაპოვრის — მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, კოლხეთის — უნიკალური კულტურის შემქმნელებად.



ასეთია სქემატურად საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წარსულის, ასე ვთქვათ, მიმოხილვითი სურათი, რომელიც გადმოცემულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **თამილა ცაგარეიშვილის** ახლახან დასტამბულ წიგნში **„ქართველები, ეთნოკულტურული მემკვიდრეობა“**. იგი საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა სხვა აღიარებულ ავტორთა ნაშრომებთან ერთად გამოსცა სერიით „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“. ეს აქცია მიეძღვნა გამოჩენილი ეთნოლოგის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადების 120 წლისთავს (სერიის გამოცემის პროექტის ავტორია გ. ჩიტაიას ერთგული მოწაფე და საქმის გამგრძელებელი, პროფ. თამილა ცაგარეიშვილი, გამოდის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის ფინანსური მხარდაჭერით).

წიგნში „ქართველები“ განხილულია აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, წყლის რესურსები, კლიმატური პირობები, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, მეურნეობის უძველესი დარგები (მიწათმოქმედება, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მეხილეობა), სახელმწიფოებრივი გაერთიანებები.

წიგნი უხვად არის ილუსტრირებული, რაც მკითხველის ინტერესს ზრდის. ეს წიგნი ერთ-ერთი გამორჩეულია სერიით „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“ გამოცემულ ნაშრომთა შორის. საერთოდ კი ყოველი მათგანი (უკვე გამოიცა 8 ნაშრომი) უთუო შენაძენია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ისტორიით, მისი გუშინდელობით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

**სანდრო ალექსიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბრძოლა რუსეთთან გრძელდება, ამჯერად სიტყვიერი

**ახალი მასწავლებელი, რომელიც ამას წინათ ჩამოვიდა 161-ე სკოლაში, სიტყვასაც ვერ ამბობდა ქართულ ენაზე, პრაქტიკულად არაფერი იცოდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებზე და ადვილად იკარგებოდა ამ მთაგორიანი დედაქალაქის გადაჯვარედინებულ ქუჩებში, მაგრამ ამავე დროს იგი იყო ერთ-ერთი მოწინავე იმ ცნობილ ინიციატივაში განათლების დარგში, რომელიც დაიწყო ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში.**

როდესაც მასწავლებელი დებორა კრუზი შევიდა ხმაურიანი მოზარდების კლასში, ისინი აღფრთოვანებისგან დადუმდნენ. ეს იყო უცხოელი ქალი, რომელსაც შეეძლო დახმარებოდა მათ დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირში. ქალბატონი კრუზი თავადაც სიეტლის რაიონიდანაა, ენის მცოდნეთა იმ გუნდიდან, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაიქირავა, რათა მოეხდინა ლინგვისტური რევოლუცია. მიზანი – გადააქციოს საქართველო ქვეყნად, სადაც ინგლისური იქნება ისევე გავრცელებული, როგორც შვედეთში – და ამავდროულად ამ პროცესიდან გამოდევნოს რუსული ენა, როგორც მეორე წამყვანი ენა ქვეყანაში.

„რასაც ჩვენ ვაკეთებთ – ეს მართლაც რაღაც გარღვევაა“, – განაცხადა 58 წლის ქალბატონმა კრუზმა.

ხელისუფლებამ უკვე მოიწვია საქართველოში ათასი ინგლისური ენის მცოდნე, სექტემბრისთვის კი აპირებენ კიდევ 500-ის მოწვევას, ასე რომ, ყოველ სკოლაში იქნება როგორც მინიმუმი, ერთი „ნეიტივ სპიკერი“. პროგრამით, რომელიც გვაგონებს ამავე დროს მშვიდობის კორპუსის ჰუმანიტარულ პროგრამას და პროგრამა „ტიჩ ფორ ამერიკას“, მასწავლებლები უფასოდ ცხოვრობენ ქართულ ოჯახებში და ღებულობენ სტიპენდიას დაახლოებით 275 დოლარის ოდენობით თვეში.

ამ უცხოელების დანერგვის ინიციატორი მთელ საქართველოში წარმოაჩენს მის პროდასავლური ორიენტაციის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ამბიციებს. თავად იგი შესანიშნავად ლაპარაკობს ინგლისურად და სწავლობდა იურისპრუდენციას კოლუმბიის უნივერსიტეტში. 2003 წლის აჯანყების შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლის მომენტიდან, სააკაშვილი მუშაობდა იმაზე, რომ გამოეგლიჯა საქართველო მოსკოვის ორბიტიდან და დაეახლოვებინა იგი შეერთებულ შტატებთან. თანაც იგი იმდენად გაბედული იყო თავის მოქმედებებში, რომ ეს გახდა ერთ-ერთი ფაქტორიც იმისა, რამაც 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის ომამდე მიგვიყვანა.

საბჭოთა პერიოდში კომუნისტები რუსულ ენას იყენებდნენ დიდი ქვეყნის ვრცელი რეგიონების გასაერთიანებლად, მოითხოვდნენ, რომ იგი ყოფილიყო მეორე, ზოგჯერ კი პირველი ენაც მთელს სივრცეში ესტონეთიდან უზბეკეთამდე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ორი ათეული წლის წინათ საბჭოთა კავშირი დაიშალა, ბევრმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ დაიწყო თავისი საკუთარი ენის განმტკიცება და ამაღლება.

კრემლი მეტად მგრძნობიარედ ეკიდება საკითხს რუსული ენის სტატუსის




შესახებ, მას განიხილავს ერთგვარ ბარომეტრად საკუთარი გავლენისა.

ეს გადატრიალება განსაკუთრებით გადამჭრელად გამოიყურება საქართველოში, ვისი კულტურული ურთიერთობანიც რუსეთთან ასეულ წლებს ითვლის. ბევრი 40 წელს გადაცილებული ქართველი სიამოვნებით საუბრობს რუსულად იმ დროს, როდესაც ახალგაზრდები, რომლებმაც სრულწლოვანებას სააკაშვილის დროს მიაღწიეს, ხშირად უფრო მეტად არიან დაინტერესებული ინგლისური ენით. მთავრობას სურს ამ ტენდენციის ფორსირება. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო თავისი 4,6 მილიონი მოსახლეობით, ეკონომიკურად აყვავდება მხოლოდ განათლების სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პირობებში. თუ უზრუნველვყოფთ, რომ ყოველი ბავშვი დაეუფლება ინგლისურ ენას – ეს იქნება ამ მიზნის მნიშვნელოვანი ნაწილი.

„საქართველოს არ აქვს გაზი, არ აქვს ნავთობი, – ამბობს შაშკინი, – რესურსი, რაც ჩვენ გაგვაჩნია – ეს არის ჩვენი ადამიანური ინტელექტუალური პოტენციალი. ამიტომ უნდა გამოვიყენოთ ეს პოტენციალი, რაც შეიძლება უკეთესად“.

ბევრი ინგლისურის მასწავლებელი ამბობს, რომ მათ უხარიათ მათი ძალისხმევის თავდაპირველი შეფასება. „ვთქვა, რომ ბავშვებს ძალიან უხარიათ ჩემთან შეხვედრა, ნიშნავს, რომ ძალიან ცოტა ვილაპარაკო“, – დაწერა 23 წლის მეგ ბელმა დალასის რაიონიდან. „სხვა მასწავლებლები, ვისაც ვესაუბრე, ტრაბახობდნენ ანალოგიური გამოცდილებით, როდესაც ისინი პირველად შევიდნენ თავიანთ კლასებში. შეიქმნა საუცხოო ატმოსფერო, გაჩაღდა ნამდვილი ისტერია მთელი კვირის განმავლობაში. ბავშვებს სურდათ, რომ მათ ხელებზე ჩემი ავტოგრაფები დამეტოვებინა“.

მაგრამ ზოგიერთმა მასწავლებელმა გაწბილება გამოხატა საქართველოში საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირებით, ქვეყნისა, რომელიც შედარებით ღარიბ სახელმწიფოდ რჩება. როგორც განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში, ინგლისური ენის ადგილობრივი მასწავლებლები ზოგჯერ არცთუ კარგად ლაპარაკობენ ინგლისურად. ბავშვებს ავალებენ ისწავლონ ზეპირად სიტყვების სია და ისინი იშვიათად ერთვებიან დიალოგში. მოზარდები, რომლებსაც ინგლისურს ასწავლიდნენ უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში, ხშირად ორ სიტყვასაც ვერ აბამენ ერთმანეთს წინადადებაში.

ზოგიერთი ახალი მასწავლებელი, ვინც სოფლის სკოლებში გაგზავნეს, სადაც დანგრეულია კლასები და პრაქტიკულად არ აქვთ სახელმძღვანელოები, სვამენ საკითხს იმ განსაკუთრებულ ყურადღებასთან დაკავშირებით, რასაც საქართველოს მთავრობა უთმობს ინგლისურ ენას.

„ეს დაახლოებით იგივეა, იყიდო აპარატი ესპრესოს მოსამზადებლად მანამ, სანამ სამზარეულოს აიშენებდე“, – ამბობს 23 წლის ჯეიმს ნორტონი კოლორადოს შტატის ქალაქ ბოულდერიდან.

„აქ ბევრი დაბრკოლებაა, რომლებიც საშუალებას არ აძლევენ უცხოელ მასწავლებლებს ეფექტიანად შეასრულონ თავიანთი სამუშაო“, – ამბობს ნორტონი. „ხშირად ვფიქრობ, ხომ არ ერჩია ხელისუფლებას თავდაპირველად ყურადღება გაემახვილებინა ფუნდამენტურზე – მაგალითად, შეესყიდათ სახელმძღვანელოები ყველა მოსწავლისთვის, ანდა ესწავლებინათ მასწავლებლებისთვის პედაგოგიკის თანამედროვე მეთოდები, გადაეხადათ ქართველი მასწავლებლებისთვის ნორმალური ხელფასი, შემოეღოთ უფრო ხარისხობრივი მაჩვენებელი ანგარიშგებისა და მოსწრების შესახებ და ა.შ.“

მან აღნიშნა, რომ, მიუხედავად მისი შიშისა, მას მოსწონს საქართველოში გატარებული დრო და ის არაფერზე არ ნანობს, დარწმუნებულია, რომ მან შეძლო ერთგვარად გაემდიდრებინა თავისი მოსწავლეები, სხვებიც მას ამაში ეთანხმებიან.

ქალბატონი კრუზი, რომელიც შემოდგომით მუშაობდა ბათუმის სკოლაში შავი ზღვის პირას, იხსენებს, რომ, როდესაც იგი იწყებდა, ბავშვები გამოიყურებოდნენ მოწყენილად. მათი წინანდელი ინგლისური ენის მასწავლებლები არასოდეს რთავდნენ მოსწავლეებს დიალოგში.

„როდესაც იქიდან მოვდიოდი, ისინი საუბრობდნენ კლასში ინგლისურად და მასწავლებლები კმაყოფილი იყვნენ ამით, ვინაიდან აშკარად ხედავდნენ ცვლილებას“, – ამბობს ქალბატონი კრუზი. „ასე რომ, ეს გაგრძელდება მაშინაც, როდესაც მე აქ აღარ ვიქნები. ჩემთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს დროებითი ამბავი არ არის!“

The New York Times

# სომხეთი, საქართველო: პური და ურთიერთგაგების დაბადება

**შესაძლოა ხანდახან ისინი სასტიკად ვერ თანხმდებიან ენის წარმომავლობაზე, ტერიტორიაზე, ღვინის კულტურაზე და სხვა თემებზე, მაგრამ საბოლოოდ საქართველოს და სომხეთს აქვთ ერთი თემა, რომელზეც შეთანხმება შეუძლიათ – ეს პურისადმი სიყვარულია – ამავე სახელით იცნობენ ერევანში ქართულ ტრადიციულ, თონეში გამომცხვარ პურს.**

მაგრამ ეს წამიერი მიდრეკილება როდია. და ქართველმა პურის მცხობელებმა, როგორც ჩანს, ეს მხედველობაში მიიღეს. მაღალი ხელფასებით მოხიბლული, ბევრი ხაბაზი სომხეთში ჩავიდა, რათა პურის ნოუჰაუ აქაურებს გაუზიარონ.

დასავლეთში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულო ადვილად ირევა და ითქვიფება ერთმანეთში, მოვლენათა ასეთი განვითარება რევოლუციურ ძვრად არ განიხილება. მაგრამ კავკასიაში, სადაც ეროვნულ სამზარეულოს საზღვრებს ხშირად ისეთივე გზნებით იცავენ, როგორც გეოგრაფიულს, ეს ფენომენი ცვლილების პოტენციალს შეიცავს.

„როდესაც მათ სომხეთში სამუშაოდ მომიწვიეს, ეს უცნაურ იდეად მივიჩნიე“, – ამბობს 34 წლის ბაქარ ბოდაველი, თბილისელი ხაბაზი, რომელიც ერევანში 8 თვის წინათ ჩავიდა. ის ცომს აბრტყელებს და 1.5 მეტრის სიღრმის მრგვალ თონეში ეკიდება, თიხის ღუმელში, რათა ცომი მის კედლებზე გააკრას. „აქ არასდროს ვყოფილვარ და არც კი წარმომედგინა (აქ ცხოვრებაძ. ახლა ყველაფერს შევეჩვიე“.

ეს ენასაც გულისხმობს. მყიდველები და მიმწოდებლები გაიძახიან: „ბარევ, ბაქარ“ („გამარჯობა, ბაქარ!“ძ, ბოდაველი კი წვეტიან პურებს, რომლებსაც საქართველოში შოთ პურებს უწოდებენ, ღუმელიდან იღებს და გასაგრილებლად ქართული საცხობებისთვის ტიპურ ხის თაროებზე აწყობს.

რესტორანმა, რომელმაც ბოდაველი მიიწვია, მისთვის ერევნის ცენტრში ბინა იქირავა და 14 დღის მუშაობისთვის თვეში დაახლოებით 1000 დოლარს უხდის, რაც არნახული სიმდიდრეა იმასთან შედარებით, რასაც თბილისში უხდიდნენ – 20-24 დოლარის ეკვივალენტი ლარებში დღეში. „აქ იმდენს მიხდიან, რომ ფულის გადადებაც კი შემიძლია, რასაც საქართველოში ვერ ვახერხებდი“, – ამბობს ის.

პური თაროზე პატარა დროით რჩება – ერთ დღეზე ნაკლებს, მაგრამ ქართველების უმეტესობა მეზობელ თონეში სიარულს სულაც არ მიიჩნევს ტვირთად. ქართულ კულტურაში პური „თაყვანისცემის ობიექტია“, – წერდა დარა გოლდშტეინი, კულინარიის მკვლევარი თავის საეტაპო წიგნში ქართულ სამზარეულოზე „ქართული სუფრა“.

როგორც ჩანს ამ თაყვანისცემამ პურისადმი ერევანშიც გადმოინაცვლა.

„როცა პურს უყურებ, ასე გგონია, გეძახის“, – აღფრთოვანებით აცხადებს 59 წლის ანუშ პოგოსიანი, მაღაზიის გამყიდველი, რომელიც ერევანში ქართულ საცხობში მუშაობს. პოგოსიანი ამტკიცებს, რომ მოთხოვნის შესაბამისად, დაახლოებით 30 პურის მაღაზია, ერევნის იმ უბანში, სადაც ის მუშაობს, ანუ არაბკირში, მიზანმიმართულად ჰყიდის ქართულ პურს (200-230 დრამი, ან 55-64 ცენტი ერთ პურშიძ.

ერევნის მთავრობა არ აზუსტებს ქართული საცხობების ბიზნეს რეგისტრაციებს, მაგრამ დაახლოებით განაცხადებს, რომ შარშან სომხეთის დედაქალაქში გახსნილი 30 საცხობის რიცხვმა „რამდენჯერმე“ იმატა. „ქართული პურის საცხობების რაოდენობა სულ იზრდება“, ეს მართლა შესამჩნევია“, – ამბობს არმენ სარქისიანი, ქალაქის მთავრობის ვაჭრობისა და მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

მყიდველები ამბობენ, რომ ქართული პურის მიმზიდველობა ნაწილობრივ მისი მარილიანობით აიხსნება, რაც განასხვავებს მას უმარილო სომხური ლავაშისგან და ზოგადად უმარილო პურის სხვა სახეობებისგან. მას ხშირად თონედან ახლად ამოღებულს ყიდულობენ და სითბო მის მიმზიდველობას კიდევ უფრო აძლიერებს.

„ერთადერთი პური, რომელსაც ვყიდულობთ, ქართულია“ – ამბობს ერთი ქალი, რომელიც ქართულ პურს ერევნის ცენტრალურ ბაზართან პაწაწინა მაღაზიაში ყიდულობს. „რაღა თქმა უნდა, ჩვენი ლავაშიც ძალიან პოპულარული და გემრიელია, მაგრამ ბავშვებს ქართული პური ურჩევნიათ“.

სომხები უფრო იმას არიან მიჩვეულნი, რომ ხალხი სამუშაოს საშოვნელად ერევნიდან მიდის და არა პირიქით, ამიტომ ეს მოვლენა სიამაყის წყაროსაც შეადგენს.

მაგრამ საქართველოს მთავრობას, შესაძლოა ასეთი კითხვა გაუჩნდეს, რამდენადაა ის პური, რომელსაც სომეხი მომხმარებელი იძენს, მართლაც ქართული.

იმისთვის, რომ ქართული ხაჭაპურის, არომატული, ყველიანი ცომეული ნაწარმის პოსტსაბჭოთა, თავაშვებული იმიტაცია მოესპო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შარშან ევროპის კავშირში მიღებული სტანდარტების შემოღებისკენ გადადგა ნაბიჯი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართული საკვები პროდუქტებისთვის შემოღებულ იქნებოდა საყოველთაოდ აღიარებული სერტიფიკატი, რომელიც დაეფუძნებოდა ამ პროდუქტის ინგრედიეტებსა და მომზადების წესს.

სამინისტრომ პუბლიკაციის მომენტისათვის არ უპასუხა შეკითხვას სომხეთში ქართული პურის არნახული პოპულარობის შესახებ.

ამასობაში ერთი თბილისელი ხაბაზი, რომელიც ხშირად იცვლის სამუშაო ადგილს და ბოლოს კიევშიც კი მუშაობდა, განაცხადებს, რომ სიამოვნებით წავა იქ, სადაც მას ქართული პურის პოპულარობა წაიყვანს.

„საქართველოში სამუშაოს პოვნა რთულია, ამიტომ აქ ბედნიერი ვარ“, – ამბობს მიშა მარკოსიანი, 30 წლის ქართველი სომეხი, რომელიც ერევნის მეტროს სადგურთან მდებარე პატარა მაღაზიისთვის აცხობს პურს. „ოჯახის დასახმარებლად ვშოულობ ფულს და მყიდველები ჩემი მადლიერნი არიან“.

EURASIANET.org

## დედამიწის ზურგზე



**„ჰუმან რაიდს ვოტჩმა“, რომელიც აკრიტიკებდა რუსეთის ფედერაციის ბრძოლას ტერორიზმთან, მოუწოდა დასაჯონ „დომოდედოვოში“ აფეთქების ორგანიზატორები**

„აფეთქება აეროპორტში – ეს მსოფლიო სამოქალაქო ცხოვრების ხელყოფაა... ტერორიზმი ადამიანის უფლებათა უარყოფაა. დღევანდელი აფეთქებაართმევს მსხვერპლს ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას – სიცოცხლის უფლებას. არავის შეუძლია გაამართლოს ეს საშინელი დანაშაული მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ“, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

* * *

**ხოდორკოვსკის განაჩენზე 2012 წლამდე ახლახან გახსნილ ზამთრის სესიაზე რუსეთისგან შერისხული ოლიგარქის ბედი არ განიხილება.**



ხოდორკოვსკის შესახებ არის ცნობა შემაჯამებელ მოხსენებაში, მაგრამ სრულფასოვან დოკუმენტს გამოაქვეყნებენ რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტისა და დუმის არჩევნების შემდეგ, ესე იგი, წლინახევრის შემდეგ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, რომ იმ დროისთვის შეიძლება საჭირო გახდეს არა მეორე, არამედ უკვე მესამე საქმის კომენტირება იუკოსის ყოფილი ხელმძღვანელის წინააღმდეგ.

* * *

**არიზონაში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის დამნაშავე არ აღიარებს მომხდარს**



მოსამართლის შეკითხვაზე პასუხის შემდეგ, მიაჩნია თუ არა მას თავი დამნაშავედ მომხდარ დანაშაულში, ლოფნერს სიტყვაც აღარ უთქვამს. ადრე იგი ღიმილით და ჩურჩულით ელაპარაკებოდა თავის ადვოკატ ჯუდი კლაკს. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით არ აცხადებს, აქვს თუ არა განზრახული მიაღწიოს თავისი კლიენტის გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან შეურაცხადობის გამო.

* * *

**ვიქტორ ბუტს განზრახული აქვს შეცვალოს ადვოკატების გუნდი**

ამჟამინდელ ეტაპზე რუსეთელის ინტერესებს იცავს საბრინა შტოფი, რომელიც დანიშნა ადვოკატების ფედერალურმა სასამართლომ. მაგრამ განსასჯელის ცოლის სიტყვებით, მას სჭირდება „პროფესიული გუნდი, რომელიც მიზანსწრაფულად იბრძოლებს მხოლოდ მისი ინტერესების დასაცავად სასამართლოში“.



FMG
შპს "ფინანსური მართვის ჯგუფი"
"FINANCIAL MANAGEMENT GROUP" LTD

[illegible] 2-210111

## აუდიტორული დასკვნა

[illegible]

პოლიტიკური პარტია "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო"-ს 2010 წლის ფინანსური მდგომარეობის (შემოსავალ-გასავლის) ანალიზი

1. [illegible]

1.1. [illegible] 17 [illegible] — 103500.00 ლარი.

[illegible] — 103500.00 ლარი.

2. [illegible]

2.1. [illegible] — 3671.00 ლარი.
2.2. [illegible] — 64704.95 ლარი.
2.3. [illegible] — 57261.67 ლარი.

[illegible] — 125637.62 ლარი.

3. 2011 წლის 1 იანვრის [illegible] — 10301.79 ლარის [illegible]

4. [illegible]

4.1. [illegible] — 0.00 ლარი.
4.2. [illegible] — 714.36 ლარი.

[illegible]

შ ე მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი ა
ზასს 1 და ზასს 7-ის მიხედვით

ს ა წ ა რ მ ო ს ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

2011 წლის 01 იანვრის-სთვის

წარედგინება ერთ საწარმოზე თუ საწარმოთა ჯგუფზე: ერთი

საწარმოს (ჯგუფისათვის - სათაო საწარმოს) საიდენტიფიკაციო ნომერი № 205271294

საფირმო სახელწოდება: პ/პ "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: პოლიტიკური პარტია

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, თ. აბულაძის ქ. № 8.

დარგი (საქმიანობის სახე)

ზომის ერთეული და სიზუსტის ხარისხი: 1 ლარი

[illegible]

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |

## ინფორმაცია

# დაუბრუნდება ნეფერტიტი სამშობლოს?

ეგვიპტის ხელისუფლებამ გერმანიას ნეფერტიტის ბიუსტის დაბრუნება ოფიციალურად მოსთხოვა. შესაბამისი წერილი ეგვიპტის სიძველეების უმაღლესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზაჰი ჰავასმა პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ხელმძღვანელს გერმან პარცინგერს უკვე გაუგზავნა.

ეგვიპტე ნეფერტიტის ბიუსტის დაბრუნებას 80 წელზე მეტია უშედეგოდ ცდილობს. ბიუსტი გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორხარდტმა 1912 წელს აღმოაჩინა. მიიჩნევა, რომ ბიუსტი ეგვიპტიდან მოტყუებით გაიტანეს. არსებობს მოსაზრება, რომ ბორხარდტმა ადგილობრივი ინსპექტორი შეცდომაში შეიყვანა და ბიუსტი მას უმნიშვნელო აღმოჩენად წარუდგინა.

1936 წელს გერმანიის ხელისუფლება ეგვიპტეს ნეფერტიტის დაბრუნებას დაპირდა, მაგრამ ადოლფ ჰიტლერმა ეს გადაწყვეტილება გააუქმა. ბიუსტის დასაბრუნებლად აქტიური ბრძოლა ზაჰი ჰავასმა განაახლა. მან შესაბამისი თხოვნით გერმანიას ორჯერ — 2005 და 2007 წლებში მიმართა, თუმცა ორივე შემთხვევაში სასტიკი უარი მიიღო.

ᲮᲝ-ᲔᲝᲑ-ᲔᲜᲝ



### ჭადრაკი

## მოთელვა გიბრალტარში ყატარის წინ



**შვეიცარიული სისტემით 10 ტური გათამაშდება გიბრალტარის ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალში, სადაც მსოფლიოს უძლიერესმა დიდოსტატებმა მოიყარეს თავი.** მთავარი პრიზისთვის ნანა ძაგნიძესთან, სალომე მელიასთან და გიორგი ყაჭეიშვილთან ერთად იბრძოლებენ სახელოვანი მოჭადრაკეები – ვასილი ივანჩუკი (უკრაინაძ, მაიკლ ადამსი (ინგლისიძ, ფაბიანო კარუანა (იტალიაძ, ქალთა შორის ამჟამინდელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთიძ, რუსი დები – ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთიძ, ჟუ ჩენი (ყატარიძ, პია კრამლინგი (შვედეთიძ, ტურნირის საპრიზო ფონდია 125 ათასი ევრო. შეჯიბრება 3 თებერვალს დამთავრდება. ნანა ძაგნიძისთვის ეს ასპარეზობა იქნება ერთგვარი მოთელვა ფიდეს ქალთა გრანპრის ბოლო ეტაპის წინ, რომელსაც 20 თებერვლიდან ყატარი უმასპინძლებს. ქართველ დიდოსტატს იქ პირველ ან მეორე ადგილზე გასვლაც ჰყოფნის, რომ გრანპრის გათამაშებაში გაიმარჯვოს და 2011 წლის ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის ჰოუ იფანს ეთამაშოს.

**ლექსო ცინცაძე**

### ჩოგბურთი

## პირველი ბარიერი გადალახეს



**გრენობლში (საფრანგეთიძ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარიძ, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში სამმა ქართველმა დაიწყო ასპარეზობა.** პირველი წრე ჩვენებურებმა წარმატებით დაძლიეს: მაკა ჩახნაშვილმა რუსი ელენა კულიკოვა დაამარცხა – 1:6, 6:3, 6:1, სოფიო შაფათავამ მასპინძელ ვიქტორია ლარიერს სძლია – 6:3, 6:3, ხოლო თათია მიქაძემ ფრანგ ესტელ კაზინოს კი აჯობა, მაგრამ მეორე წრეში ხორვატ ივანა ლისიაკთან წააგო ( 1:6, 6:4, 2:6ძ და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ლაშა დიდია**

### ფეხბურთი

## ახალი ბაბილონი?



**ცნობილი ფაქტია, რომ ფეხბურთის სამშობლოს – ინგლისის კლუბების ძირითად შემადგენლობაში ყველაზე ნაკლები ინგლისელები თამაშობენ, თუმცა ყველა მოლოდინს გადააჭარბა იმან, რაც ამ ქვეყნის ჩემპიონატის 24-ე ტურზე „ბლეკბერნისა“ და „ვესტ ბრომვიჩის“ მატჩზე მოხდა – 2:0. ორივე გუნდმა საერთო ძალით დაამყარა პრემიერ-ლიგის ახალი რეკორდი – შეცვლების ჩათვლით შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს 22 ქვეყნის ფეხბურთელებმა.**

სტადიონ „ივუდ პარკის“ მინდორზე გამოვიდა სამი ინგლისელი, ორი ფრანგი, ორი შოტლანდიელი, ორი შვედი და თითო-თითო ესპანელი, კონგოელი, აშშ-ელი, ნორვეგიელი, პარაგვაელი, ხორვატი, კანადელი, უელსელი, გრენლანდიელი, ავსტრიელი, რუმინელი, სლოვაკი, ჩილელი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკელი (ყოფილი ზაირიძ, ჩრდილო ირლანდიელი, ნიგერიელი, კამერუნელი და ჩეხი ფეხბურთელი. „ბლეკბერნის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ ფეხბურთელები 12 ქვეყნიდან, ხოლო „ვესტ ბრომვიჩის“ სახელს იცავდნენ ფეხბურთელები 10 ქვეყნიდან.

### ფორმულა-1

## ხალხს აინტერესებს და უყურებს

**ფეხბურთი რომ საერთო სახალხო სპორტულ სახეობად ითვლება, დიდი ხანია, ცნობილია, თუმცა, როგორც ჩანს, მას დიდად არც ისეთი ვაჟკაცური სანახაობა ჩამორჩება, როგორიც ავტორბოლაა, „ფორმულა-1“-ის სახით.** როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, შეუჯამებიათ შარშანდელი სეზონი და ის ყველაზე სანახაობრივი გამოდგა „ფორმულა-1“-ის ისტორიაში და უფრო პოპულარული მსოფლიო ჩემპიონატზე. 2010 წელს 19 „გრანპრის“ ტელეტრანსლაციას უყურა 527 მილიონმა ადამიანმა მსოფლიოს 187 ქვეყანაში.



### რეტრო



ბურთით ხელში ფირუზ (ბეხა) რეხვიაშვილი

# კაცი – კურიოზი

## ფირუზ (ბეხა) რეხვიაშვილი

**მისი ცხოვრება თავიდან ბოლომდე კურიოზი იყო. ამიტომ ბოლნისის დაუვიწყარ კოლორიტს, თბილისის „დინამოს“ ყოფილ თავდამსხმელს ფირუზ (ბეხაძ რეხვიაშვილს ღიმილის გარეშე ვერავინ იხსენებს. არავინ უწყოდა, თუ რას მოიმოქმედებდა იგი ამა თუ იმ სიტუაციაში. კაჩალინს (თბილისის „დინამოს“ მაშინდელი მწვრთნელიძ ბეხას მეუღლისათვის კიდევაც უთქვამს: ქეთევან, თქვენი მეუღლის დასაბმელად ჯაჭვის შეძენა მოგიწევთო. მაგრამ ბეხას „დაბმა“ არ დასჭირვებია. მას უსაზღვროდ უყვარდა ყველა – ოჯახის წევრებიდან დაწყებული – უბრალო ნაცნობებით დამთავრებული. ის მოწყენის საშუალებას არავის აძლევდა. კურიოზული აღმოჩნდა მისი ავადმყოფობა და გარდაცვალებაც. მძიმე სენის მიუხედავად, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს, საკუთარი ტკივილი სხვებისთვის თავს არ მოუხვევია. დღეს სწორედ ბეხას უჩვეულო თავგადასავლებზე გვესაუბრება მისი მეუღლე ქეთევანი.**

### გიჟის მომთვინიერებელი

**– მაშინ ჯერ კიდევ შეყვარებულები ვიყავით. მე და ბეხას და მედეა უკვე ვიცნობდით ერთმანეთს. იმ ზაფხულს საჩხერის ერთ სოფელში ვისვენებდით. ერთ დღესაც გავიგეთ, რომ ბეხას ავარია მოსვლოდა. იქ რაღა გაგვაჩერებდა.** ისე სწრაფად წამოვედით, რომ ჩვენი ტანსაცმლისა და პირადი ნივთების წამოღებაც კი დაგვავიწყდა. მანქანა დილმის საწვრთნელ ბაზაზე იდგა. ისე იყო დამტვრეული, ვერ წარმოვიდგინა თუ იქ ვინმე გადარჩებოდა. ბეხა მეგობარს წაუყვანია თავისთან, რომელიც ასათიანზე, ფსიქიატრიული საავადმყოფოს გვერდით პირველ სართულზე ცხოვრობდა. როგორც იქნა, მივაგენით მის სახლს. ბეხა და მისი მეგობარი საკმაოდ იყვნენ დაშავებულები. სიარულითაც ძლივს დადიოდნენ. ის ღამე იქ დავრჩით. ძილის წინ კაბა გავრეცხე და ფანჯარასთან, თოკზე დავკიდე. დილით ხმაურმა გამაღვიძა. იყო ერთი ჟრიამული და სიცილხარხარი. გავიხედე გარეთ და რას ვხედავ, დგას შიშველი მამაკაცი ჩემს კაბაში გამოწყობილი და ცეკვავს. ხალხი ერთობა და არის ერთი ღრიანცელი. ვაიმე, ჩემი კაბა-მეთქი, შევძახე. რა უნდა მექნა, გარეთ კაბის გარეშე ხომ ვერ გავიდოდი, თურმე ის კაცი ფსიქიატრიულიდან ყოფილა გამოქცეული. ისევ ბეხამ იმარჯვა. გავიდა გარეთ სახე და ხელებდაბინტული და გამოუდგა იმ გიჟს. მირბის გიჟი და მისდევს ბეხა. არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. ბოლოს, როგორც იქნა, ბეხამ აჯობა და კაბა გახადა. რაღას ვიზამდი, ხელმეორედ მომიწია კაბის გარეცხვა.

### ტანკით სტადიონზე

**– ბეხა ერთხანს რუსთავის გუნდში თამაშობდა. იქ დისლოცირებული სამხედრო ნაწილის ოფიცრისთვის კარტში სტადიონზე ტანკით შესვლა მოუგია, თანაც თამაშის დაწყების წინ.** ბეხას ძალა დაუტანებია და რაღას იზამდა ოფიცერი. ის იყო, თამაში უნდა დაწყებულიყო, რომ ხალხით სავსე სტადიონზე ტანკი გამოჩნდა და მოედანს „საპატიო წრე“ დაარტყა. ყველა გაოგნებული იყო. ტანკი ძლივს შეაჩერეს. ბეხა კი ვითომც აქ არაფერიო, ამოძვრა ტანკიდან, სპორტული ფორმა ჩაიცვა და მოედანზე სათამაშოდ გავიდა. საწყალი რუსი ოფიცერი ტრიბუნალს გადასცეს. თუმცა, ისევ ბეხამ უშველა და დასჯას გადაარჩინა. მიუხედავად ამისა, ბეხა არც ისე „ხელიდან წასული იყო“. ამაზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: ის ხშირად რჩებოდა ხოლმე სტადიონზე ღამით და საყარაულო ოთახში იძინებდა. ერთხელ გაცივდა და მაღალი სიცხე ჰქონდა. სახლში მაინც არ წამოვიდა. ალბათ, არ სურდა ჩვენი შეწუხება. რუსთავში, სტადიონის გვერდით არხი ჩამოდის. საღამოს სწორედ იქიდან მოესმა ბავშვის ყვირილი, მიშველეთო. ბეხამ არ დააყოვნა და არხთან მიირბინა. თურმე სტადიონის დარაჯის პატარა ბიჭი ჩავარდნილა არხში და იხრჩობოდა. ბეხამ ბავშვი ძლივს გადაარჩინა, თავად კი ფილტვების ანთება დაემართა. სამაგიეროდ, ის ბიჭი ბეხას მოანათვლინეს.



### ინდონეზიური იმედგაცრუება

**– 1971 წლის ნოემბერში დინამოელები ინდონეზიაში წავიდნენ ტურნირზე სათამაშოდ. სხვათა შორის, იქ 10 მატჩი ჩაატარეს და ბეხამ 9 გოლი გაიტანა. მაშინ დინამოელთა კარს ბოლნისელი თამაზ სტეფანია იცავდა. სწორედ თამაზი და ბეხა წასულან ქალებში „საგულაოდ“.** გაუცვნიათ, მაგრამ რად გინდათ, ქალის სამოსში გამოწყობილი „ცისფერებში“ აღმოჩენილან და თავიანთ სასტუმრომდე შეუსვენებლად ურბენიათ. ის იყო და ის, ინდონეზიაში ქალის გაცნობის მეტი სურვილი აღარ გასჩენიათ. სამაგიეროდ, ბეხა რევაზ ძოძუაშვილს დაუპატიჟებია რესტორანში, აქაური შემწვარი ქათმის ხორცი უნდა გაგასინჯოო. ბეხა დიდი სიამოვნებით შეექცეოდა თურმე იქაურ „ქათამს“. ძალიან გემრიელიაო, უთქვამს რეზოსთვის. გემრიელი იქნება, აბა რა, ეს ხომ სპეციალური ბაყაყსაშენიდან არისო, მიუღია პასუხად. ბეხას მაგიდაზევე არევია გული და იქიდანაც უკანმოუხედავად გამოქცეულა. როგორც ხედავთ, თუ მის მიერ გატანილ გოლებს არ ჩავთვლით, ბეხას ინდონეზიაში მართლაც არ გაუმართლა. ისე, თავიდან ბოლომდე კურიოზი იყო. მისი თავგადასავლების აღსაწერად გაზეთი კი არა, წიგნიც კი არ გვეყოფოდა.

**ელგუჯა გრიგალაშვილი**

**(დასასრული იქნება).**

### ინტერნეტიდან

## „მანჩესტერ იუნაიტედიც“ იყიდება?

**მას შემდეგ, რაც ყატარმა მოიპოვა ფეხბურთში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლის უფლება, ამ ქვეყანაში გაძლიერდა მცდელობა მსოფლიოში მისი პრესტიჟის გასამტკიცებლად. ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში იქაურმა საქველმოქმედო ფონდმა კონტრაქტი გააფორმა ესპანურ „ბარსელონასთან“ მის ფორმაზე თავისი ლოგოტიპის განსათავსებლად.** კონტრაქტის ღირებულება შეფასებულია 125 მილიონ გირვანქამდე, რაც, შეიძლება, გაიზარდოს კიდეც. ახლა კი, როგორც ბრიტანული პრესა იტყობინება, ყატარის მმართველმა ოჯახმა ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ მფლობელებს ამ გუნდის შესაძენად 1,5 მილიარდი გირვანქა (2,4 მილიარდი დოლარიძ შესთავაზა. ბუნებრივი რესურსებით უმდიდესი ქვეყნიდან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახლანდელმა მფლობელებმა გლეიზერებმა კი 2 მილიარდი გირვანქა მოითხოვეს. გამორიცხული არაა, რომ ყატარის მხარე ამაზეც დათანხმდეს.





## ხუთი ფეხბურთელი მიახვრიტეს

**თითქოს ნარკობიზნესთან ბრძოლის დროს დიდძალი დაღუპულები საკმარისი არ ყოფილიყო, ახლა კიდევ მათ რიცხვს ფეხბურთელებიც მიუმატეს. მექსიკის ქალაქ სიუდად-ხუარესის სტადიონზე კვირა საღამოს უცნობმა პირებმა სროლა აუტეხეს მინდორზე მყოფ ფეხბურთელებს. სამი კაცი ადგილზე გარდაიცვალა, ორიც – საავადმყოფოში, კიდევ მძიმედ დაჭრილი ორი ფეხბურთელის სიცოცხლე კრიტიკულ მდგომარეობაშია.**

ქვეყნის ჩრდილოეთში, აშშ-ის საზღვართან მდებარე სიუდად-ხუარესი ითვლება ყველაზე კრიმინოგენურ ქალაქად მსოფლიოში. აქ ასობით ნარკომოვაჭრე მოქმედებს, ნარკოტიკების აშშ-ში უკანონო გადატანას რომ ეწევა. 2010 წელს აქ 3100 კაცი მოკლეს, იანვარში კი მათმა რიცხვმა უკვე 130-ს გადააჭარბა.



◉ ღირს დაფიქრებად!

# ნუ დავამახინჯებთ ქართულ გვარ-სახელებს!

## ანუ ნანკა, რუსკა, ნინცო, ანჩო, ნეკა და სხვანი

**ბოლო ათწლეულში მრავალი საჭირბოროტო პრობლემა შეიქმნა საქართველოში: დანაწევრებული მამული, დაკნინებული ენა, შელახული სარწმუნოება, გათითოკაცებული ერი. მართალია გაზეთებსა და ჟურნალებში ხშირად გამოითქმის უკმაყოფილება ამ პრობლემის მიმართ, მაგრამ მათი ხმა რჩება „...ხმად უდაბნოსა მღაღადებლისა შინა“, რამეთუ წერე და იკითხეს ეპოქაში ვცხოვრობთ და გამკითხავი არავინაა. თუმცა, გული არ ითმენს, რომ ამ ყველაფერს თვალი მოუხუჭო და ყური წაუყრუო.**

ამჯერად თქვენი ყურადღება ქართულ ენაში ამ ბოლო წლებში დამკვიდრებულ-დამახინჯებულ სახელებს მინდა მივაპყრო. დიახ, დამახინჯებულს და არა შემოკლებულს.

ჯერ იყო და რუსმა ჩინოვნიკებმა თავისებურად შეცვალეს ან თარგმნეს ქართული გვარ-სახელები.: ღარიშვილი – გარიშვილად, ჭითავა – ჩითავად... შეცვალეს, ციციშვილი – ციციანოვად, ბარათაშვილი – ბარათოვად, ბაგრატიონი – გრუზინსკად... თარგმნეს. ჩვენს მეფე თამარს **ცარიცა ტამარა** უწოდეს და ზოგიერთ ქართველს დღესაც შემორჩა პირადობის დამადასტურებელ საბუთში **ტამარა**. მაშინ, როცა კარგად ვიცით, რომ საკუთარი სახელის არც შეცვლა შეიძლება და არც თარგმნა.

არ ვიცი რას მივაწერო, დრომ მოიტანა, თუ ზოგიერთების ახირებაა საკუთარი სახელის ისე დამახინჯება, რომ ზოგ შემთხვევაში ვერც გაიგებ ნამდვილი სახელის რაობას.

კარგად ვიცით, რომ გრამატიკულად ყველა ენას აქვს კნინობითი, ანუ მოფერებითი ფორმა, როგორიცაა: დედიკო, მამიკო, ძამიკო, დაიკო, ზურიკო, თინიკო... მაგრამ როცა ტელევიზიიდან გვესმის ან პრესის ფურცლებზე ვკითხულობთ: **ნანკა, ნანიკო, ნაწუკა, ქეთი, ქეთუსია, ქეთუშა, ქეთათო, ნინო, ნინაკა, ნინცო, ანჩო, ირინკა, აკო, ნიაკო, თიკო, თინანო, თაკო, თამო, ზუკა, აჩი, ივა, იკა, აკა, თოკო, ოთო, აჩიკო...** დამეთანხმებით ეს ალმაცერთებელია.

საქმე ისაა, რომ მშობლებსა და ახლობლებს შეუძლიათ ეს სახელები შინაურებში გამოიყენონ, მაგრამ არამც და არამც საზოგადოებრივ ადგილებში, თუნდაც ტელევიზიით. ჩვენთვის არ არიან ისინი არც ნანიკოები, არც დოდოშკები და არც თიკოები.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელებს წარმომავლობას მაინც დაუდგენ. აბა სცადეთ და გამოიცანით რომელი სახელებიდან მოდის, **ბასა, ბუსა, ბუკა, ნიტა, ამიკო, ზუზუ, ზუმბა, ნეკა, დიკო, ჯეკო, ჯუკი.** არ გაინტერესებთ ამ სახელების წარმომავლობა?

ერთხელაც კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას მიმართეს ეთერში – „ბატონო კოკო!“ მან მახსოვს, ასე შეუსწორა ეს მიმართვა: „თუ ბატონოთი მომმართავთ, ბატონი კონსტანტინე მიწოდეთ და თუ შინაურულად – კოკოთი, მაშინ ბატონი აღარ არის საჭირო“. ამას წინათ პრესკონფერენციაზე ერთმა ქალბატონმა ასე მიმართა ვახტანგად წოდებულ მამაკაცს, ბატონო ვახო! რამდენად მართებულია ასეთი მიმართვა, თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

ნუთუ შეიძლება მინისტრს, რომელსაც გიორგი ჰქვია, გოკათი მიმართო ან პავლეს – პალიკოთი, აბა რას ჰგავს ამხელა კაცს ივას (კუზანოვსძ რომ ეძახიან? მომღერალი კახა ცისკარიძე რატომ არის სხვისთვის კახუჩელა ან მსახიობი ნატო გულისაშვილი – ნატუკა?!

ერთი ჟურნალის ფურცლებზე მოძღვარი მიგვანიშნებდა, რომ არაფრით არ შეიძლება კაცს, რომელსაც წმინდანის სახელი ჰქვია, სახელი შეუცვალო, მაგრამ ზოგი **გიორგის – გოკას, ქეთევანს – ქეთუსიას, მარიამს – მანჩოს, ნინოს – ნინჩოს** ეძახის.

მთელი უბედურება კი ის არის, რომ დღეს დაბადების მოწმობის გამცემი სამსახურები რასაც ეტყვი, იმ სახელს გიწერენ: **თაკო, თიკო, ოთო, ჯეკო,** არადა, რა ლამაზია: **ლევანი, ოთარი, არჩილი, დავითი, ზურაბი, თინათინი, რუსუდანი, ეთერი...**

ისე, მადლობა უფალს, ზოგიერთ სახელს: **რატი, ბექა, ინგა, გვანცა, ნათელა, ელისო, შალვა, ზვიადი, მერაბი...** ვერ გამოუნახეს მახინჯი ფორმები. ჩვენი ქართველობა ნამდვილი სახელების დაცვითა და სწორად წარმოთქმითაც უნდა დავამტკიცოთ. ეს ჩვენი მოვალეობაა.

**ალმარ ლომიძე,**
**ფილოლოგი, ჟურნალისტი**
**ქ. რუსთავი.**

სანთელი

# ვალმოხდილი სამშობლოსა და დედაენის წინაშე

## ვეთხოვებით ლევან კვაჭაძეს



ქართველ ენათმეცნიერთა რიგებს გამოაკლდა უხუცესი წევრი, ქართული ენის გამორჩეული მკვლევარი, საშუალო და უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე – პროფესორი ლევან კვაჭაძე. იგი ას ორი წლისა გარდაიცვალა. მისი ხანგრძლივი და ღრმაშინაარსიანი ცხოვრება მამულიშვილობისა და მაღალი მოქალაქეობრიობის, მართალკაცობისა და კაცთმოყვარეობის ჭეშმარიტი მაგალითია.

მაღალმთიან სვანურ სოფელში – ლახამულაში – დაბადებულმა ახალგაზრდამ მეცნიერებისათვის თავდადება და ქართული ენის უანგარო მსახურება ადრევე დაისახა მიზნად. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რასაც მას უქმნიდა 20-იანი წლების ვითარება საქართველოში, მათ შორის ეროვნულ-პატრიოტულ ორიენტაციასთან დაკავშირებული რეპრესიები პირადად მის და მისი ოჯახის წევრების მიმართ, მან დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიაღწია საწადელს – 1945-1948 წლებში პროფესორ ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი, დისერტაციაც დაიცვა და შექმნა შესანიშნავი მონოგრაფიაც – „ქართული წინადადების სწავლების მეთოდიკა“, რომელსაც დღემდე, სამოცი წლის შემდეგაც, არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

მეთოდიკური ხასიათის ნაშრომების პარალელურად ლ.კვაჭაძე მეცნიერულად იკვლევდა ქართული ენის გრამატიკის საკითხებს. სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მისი ნაშრომი „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, რომელიც გამოსვლისთანავე ქართველ და უცხოელ ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნად იქცა. იგი არაერთხელ გამოიცა მკითხველთა დიდი მოთხოვნილების გამო. ამ წიგნისათვის ავტორი 1998 წელს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

დიდი დამსახურება მიუძღვის პროფ. ლ.კვაჭაძეს საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოთა შექმნის საქმეში. ისინი ყოველთვის სამეცნიერო საზოგადოების მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ. ეს წარმატება გარკვეულწილად განპირობებული იყო იმ დიდი პედაგოგიური გამოცდილებით, რომელიც ავტორმა საშუალო და უმაღლეს სკოლებში ხანგრძლივი მუშაობით შეიძინა. გამორჩეული იყო პროფ. ლ.კვაჭაძის დამოკიდებულება მოზარდი თაობისადმი. ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში იგი მთელს სულსა და გულსა დებდა, რითაც იმგვარად ემსახურებოდა საქართველოს აწმყოს, რომ ეს საქართველოს მომავლის მსახურებაც ყოფილიყო.

პროფ. ლ.კვაჭაძე იყო საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი (1966 წ.), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1983 წ.), ღირსების ორდენის მფლობელი (1977 წ.). ყველა ეს ჯილდო აღიარებისა და პატივისცემის გამომხატველია, მაგრამ არსებობს უხილავი და უნივთო, შესაძლოა ყველაზე უფრო დიდი ჯილდოც – მადლიერების მუდმივი გრძნობა, რაც ისეთი კაცის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ რჩებათ ადამიანებს, როგორიც ბრძანდებოდა ბატონი ლევან კვაჭაძე – პირნათლად ვალმოხდილი სამშობლოსა და დედაენის წინაშე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის კოლექტივი და სტუდენტთა დარბაზი თანაგრძნობას უცხადებენ ამირან, რუსუდან და ავთანდილ მექვაბიშვილებს ცოლის ძმისა და ბიძის

რაინდი წიქარიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო გერმანულენოვანი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის ირინე (ტატაძ ბოჭორიშვილის მეუღლის

გია ლომიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სსიპ საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის, მეღვინეობისა და მებაღეობის ინსტიტუტი იუწყება საქარის საცდელი სადგურის ხელმძღვანელის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის

თამაზ სარალიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

◉ ინფორმაცია

# ექვმიტანილი პოლიციელებთან შეტაკებას ემსხვერპლა

**2011 წლის 23 იანვარს რუსეთის მიერ კონტროლირებადი აფხაზეთის ტერიტორიიდან, კონკრეტულად სოფელ ოტობაიადან სოფელ ორსანტიაში გადმოვიდნენ, წარსულში ნასამართლევი 1982 წ.დ. დავით რურუა, 1988 წ.დ. ჯონი ქარდავა და 1984 წ.დ. თეიმურაზ კვარაცხელია.**

**შს სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა დაიქირავეს ტაქსი და გზა განაგრძეს ზუგდიდის მიმართულებით. სოფელ კოკთან არ დაემორჩილნენ სამართალდამცავების მოთხოვნას ავტომანქანის გაჩერებასთან დაკავშირებით, მოახდინეს შეჯახება პოლიციის კუთვნილი პიკაპის ტიპის ავტომანქანაზე, გახსნეს ცეცხლი პოლიციის მიმარულებით და შეეცადნენ მიმალვას. საპასუხო სროლის შედეგად გარდაიცვალა თეიმურაზ კვარაცხელია. ადგილზე დაკავებულ იქნა დავით რურუა და ჯონი ქარდავა. დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ხელყუმბარა, ორი ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „კალაშნიკოვი“ ოთხი მჭიდით, ერთი „ვინჩესტერის“ ტიპის სანადირო იარაღი . ბრალდებულებს ასევე აღმოაჩნდათ ე/წ „სკოჩი“, დანები, ხელთათმანები და სახეზე გასაკეთებელი ნიღბები.**

**გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 353-ე, 231-ეს პირველი და მეორე ნაწილებით.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ პარადოქსები ქართულად

# თქვენი მონიტორინგი იყოს თოროზას გუდაში!..

**სკოლაში მასწავლებელი გვყავდა ერთი, ფრიად კოლორიტული ფიგურა; კოლორიტული თუნდაც უცნაური თქმებით: შენი გაკეთებული საქმე იყოს თოროზას გუდაშიო... შენი დაწერილი არ წევიდა ლიხს იქითო – გვეტყოდა ხოლმე...**

ვერა და ვერ ვკითხეთ, თუ ვინ იყო ეგ თოროზა ან რა გუდა ჰქონდა ეგეთი; აი, ლიხს იქით რომ არ უშვებდა ჩვენს ნაწერს, ამის მიზეზს კი ვხვდებოდით – იმერეთიდან გახლდათ და უფროხილდებოდა თავის მხარეს...

ადამიანის მეხსიერება ხომ უცნაური ფენომენია და რასაა რომ არ ამოგიტივტივებს თუ „მოგაწოდებს“ წარსულიდან. სწორედ ის ჩემი იმერელი პედაგოგი მომაგონდა იანვრის იმ ცივ დღეს, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მორიგ პიარ-აქციით გაპიარდა ჯუგაანში ახალი სკოლის შენობის გასახსნელად და დევნილები კი სპეცდანელებისა თუ პოლიციელების ხელში ჩაყარა. ისინიც, თავად უგულონი, უსულო ტიკინებივით ალაგებდნენ საცოდავ დევნილთ, დიდიანპატარიანა, სატვირთო, უსარკმელოძარიან ანუ გერმეტულად დახურულ ავტომობილებში...

ახლა წარმოიდგინეთ კახეთის გზატკეცილზე ჯუგაანისკენ მიმქროლავი გრძელზე-გრძელი მრავალავტომანქანიანი საპრეზიდენტო კორტეჟი გზის გადაკვეთითა და მოძრაობის პარალიზებით – ერთი მხრივ; საბარგო ავტომობილების ქარავანი, გაურკვეველი მიმართულებებით გაურკვეველ ადგილებზე დევნილთა „წაყვანადი“ – მეორე მხრივ; იქ, ჯუგაანში, ზეიმი გაიმართება, აქ – არ ვიცი, სად – ტირილი და ვიშ-ვიში იქნება. ორივე ამბავი ერთ, „ავაზას დღეს“ (კონსტანტინე-ბატონისა არ იყოსძ ხდება – იანვრის ცივ დღეს. პარადოქსი (ქართულად!ძ არ არის, მარა ჯანდაბაა!

ამაზრზენი ისიც იყო, რომ იმ დევნილთა შეტენვა სატვირთოებში ევროპელი მონიტორინგისტების თვალწინ ხდებოდა და ვითომც არაფერი! მოთვალთვალეებსა და მეთვალყურეებს დამიხედეთ! და რა მექნა მე ენაჩაგდებულს, არ მეფიქრა მაგ ევროპელთა მისამართით – თქვენი მონიტორინგი იყოს თოროზას გუდაში-მეთქი?.. რაღა ზამთარში მოგინდათ იმ საბრალოების აყრა, გამოყრა და სადღაც გაყრაო – ეს მაინც ვერ გაუპროტესტეთ სამონიტორინგე ხელისუფალთ?..

ჯუგაანს რაც შეეხება – მომკალით და ვერაფრით ვერ დამიჯერებია, რომ სკოლის შენობის გახსნა პირველი პირის საქმე იყოს, რომ პრეზიდენტს საქვეყნო და სახელმწიფო საკეთებელი ისე გამოლეოდეს, რომ ამაზე „ხურდავდებოდეს“... და კიდევ – გაიხსენეთ, ერთმა ადგილობრივმა ქალბატონმა როგორ დაუღუღუნა სახეგაბადრულ მაღალზე-მაღალ სტუმარს. ჩვენი პრეზიდენტი პირობას (თუ დანაპირებსძ ყოველთვის ასრულებსო! და რა მექნა მე ენადასადუმებელს, არ მეფიქრა იმ დედაკაცზე – შენი სიმართლე არ წავიდა ჯუგაანს იქით-მეთქი?.. ნეტავი ვინ შეკერა და დაარიგა, ასე თქვიო და რა ფასად?..

...თოროზა ვინ იყო და რა გუდა ჰქონდა ასეთი – დღესაც არ ვიცი...

**ბერდია ბედოიძე**

ჩვენი კარაბადინი

# სიცივე ციფრებსა და ფაქტებში

უკვე 2500 წლის წინათ ჩვენს ერამდე ეგვიპტელები იყენებდნენ ცივ კომპრესებს მკერდისა და ძვლების მოტეხილობის დაავადებათა მკურნალობისთვის.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა კრიოქირურგია, რომელიც დოზირებული გაყინვის დახმარებით საშუალებას იძლევა უსისხლოდ მოვიშოროთ დაზიანებული ქსოვილები.

2-ჯერ უფრო ხშირად მოსდით ინფარქტები ჰიპერტონიკებს, როდესაც ჰაერის ტემპერატურა მინუს 4 გრადუსზე დაბლა ეცემა.

ზამთრობით კატასტროფულად ეცემა ფერმენტების აქტივობა, რომლებზეც არის დამოკიდებული ლიმფაციტების – იმუნური სისტემის ამ მთავარი დამცველების მუშაობა.

როდესაც ცივა, უკიდურესად მწვავდება ადამიანის ინტელექტი, ისევე როგორც ყურადღება. როდესაც თბილა, დუნდება ტვინის მუშაობა და ადამიანი უფრო ცუდად აზროვნებს.

დაბალი ტემპერატურების დოზირებული მოქმედება ზრდის ბედნიერების ჰორმონის – სიროტონინის გამომუშავებას, ამიტომ კრიოთერაპიით მკურნალობენ ნევროზებსა და დეპრესიებს.

სიცივის აღქმა ქალებში იცვლება მენსტრუალური ციკლის ფაზებისაგან დამოკიდებულებით.

ძლიერი სიცივეების დროს ჰაერი უფრო გაუხშოებული ხდება. უწინარეს ყოვლისა ამაზე რეაგირებას ახდენს ჩვენი სისხლძარღვთა სისტემა: სისხლის დენა უფრო ნელი ხდება, იზრდება სისხლის სიბლანტე.

აცივებამ შეიძლება გამოიწვიოს ასთმითა და ბრონქული პრობლემებით დაავადებულთა სნეულებების გამწვავების პროვოცირება.

სპორტსმენები უფრო იშვიათად იყინებიან, ვინაიდან მათ აქვთ სისხლის საუცხოო ცირკულაცია, მწეველებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო მალე ცივდებიან იმის გამო, რომ სისხლის ცუდი ცირკულაცია ხელს უშლის მას მალე მივიდეს ფეხებამდე და ხელებამდე.

სიცივის ხანმოკლე ზემოქმედება ზრდის კუნთების ტონუსს, მათ ძალას და ხსნის დაღლილობას.

ზედმეტი წონის ადამიანები გამხდრებზე უფრო სწრაფად ცივდებიან: ცხიმის ფენა მათ უფრო სქელი აქვთ, ამიტომ კანის ზედაპირზე, აგრეთვე კიდურებში სისხლი უფრო ნაკლები ოდენობით მიდის, შემდეგ კი მათ უფრო ნაკლები სითბო ხვდებათ.



ადამიანის კანზე 10-ჯერ მეტი ის რეცეპტორია, რომლებიც რეაგირებას ახდენენ სიცივეზე, ვიდრე ისინი, რომლებიც რეაგირებენ სითბოზე.

ᲜᲝᲕᲝᲡᲢᲘ

ნიანგის კარიკატურა



ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● „როტშილდის სააღდგომო კვერცხი", ფაბერჟეს ნამუშევარი, 2008 წელს ლონდონში „კრისტის" აუქციონზე 18 მილიონ დოლარად გაიყიდა. ის კერძო რუსული ეროვნული მუზეუმის დირექტორმა ალექსანდრ ივანოვმა შეიძინა. ახლა კი მუზეუმმა, რომლის წევრებიც ცნობილი ოლიგარქები და პოლიტიკოსები არიან, გადაწყვიტა 30 მლნ დოლარად გაყიდოს ეს უძვირფასესი ექსპონატი, მიზეზად ეკონომიკური კრიზისი დასახელდა.

● ხუთი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომლებიც კრემლის ხუთივე კოშკს ამშვენებს, ლალისგან არის გამოთლილი.

● მამაკაცის მომრგვალებულცხვირიანი ფეხსაცმელი მოდური XV საუკუნის ბოლოს გახდა. მისი ფუძემდებელი საფრანგეთის მეფე შარლ VIII გახლდათ. ეს იმან განაპირობა, რომ მეფეს ფეხებზე 6-6 თითი ჰქონდა.

● ამერიკის ველური დასავლეთის ისტორიაში კოვბოების რიცხვი 20000-ს არ აღემატებოდა და ყოველი მესამე ზანგი იყო, ყოველი მეოთხე კი – ინდიელი.

● პაკისტანში სხვადასხვა დროს 4 დედაქალაქი იყო: 1947 წლიდან– ყარაჩი; 1958 წლიდან – რავალ-პინდი, 1960 წლიდან – დაკა, ხოლო 1972 წლიდან დღემდე – ისლამაბადი.

● საფრანგეთის ჰიმნ „მარსელიოზას" ტექსტისა და მუსიკის ავტორია სამხედრო ინჟინერი კლოდ ჟოზეფ რუჟე დე ლილი.

● 1715 წელს საფრანგეთის ტახტი ლუდოვიკო XV-მ დაიკავა, სიტყვით გამოსვლის შემდეგ მან კანცლერისგან იცით, რა საჩუქარი მიიღო? – კანფეტები, რადგან ის სულ ხუთი წლისა იყო.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -2 – +5 |
| ქუთაისი. | +4 – +13 |
| ბათუმი. | +3 – +15 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | -3 – +6 |

კადრი



ანეკდოტები

– ექიმო, ვერ გამიგია, მიყვარს თუ არა ჩემი ქმარი, – შესჩივის ქალი ფსიქოთერაპევტს.

– რატომ ხართ ამაში დაეჭვებული?

– იმიტომ, რომ სექსის დროს მასზე არასდროს არ ვფიქრობ.

– აბა, ვისზე ფიქრობ?

– იმაზე, ვისთანაც იმ მომენტში მაქვს სექსი.

* * *

ორი მფრინავი ერთმანეთის შემხვედრი მიმართულებით მიფრინავს.



– როგორმე უნდა შევცვალოთ კურსი, თორემ ერთმანეთს დავეჯახებით! – ეუბნება ერთი მეორეს რაციით.

– მართალი ხარ, მე მარცხნივ მოვუხვევ, შენ – მარჯვნივ.

* * *

ძვირფასო თოვლის ბაბუა! იქნებ ისე გააკეთო, რომ ახალ წელს პრეზიდენტმა, მთავრობამ და დეპუტატებმა ბავშვის მოვლისთვის გამოყოფილი დახმარებით იცხოვრონ.

* * *

საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი, რომელიც ცოლთან ერთად მივიდა კოსტიუმირებულ საღამოზე, ვამპირის ტანსაცმელში გამოეწყო: შავი მოსასხამი, ეშვები, „სისხლიანი" ბრჭყალები...

როგორც კი ბარში შევიდნენ, ნაცნობმა ბარმენმა შეათვალიერა და ჰკითხა:

– პირდაპირ სამსახურიდან მოდიხარ?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.